# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 9 იანვარი, 2009 წელი.

№ 3 (6104)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## სანდრა რულოვსი მაიამიში ნებივრობს, კეზერაშვილი — ლას-ვეგასში, ოქრუაშვილმა კი პარიზის ცენტრში ხუთოთახიანი ბინა იყიდა...



2

არც პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა დაგვწყვიტა გული. 8 იანვარს მან უფროს ბიჭთან ედვარდთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაიამი ბიჩს მიაშურა დასასვენებლად. გაუბედურებულ თბილისში ყოფნას არ სჯობს გასხივოსნებული მაიამი?







## ტყუილის ტყვეობაში თუ „სიბრძნე" სიცრუისა?

3

## ღვთისგან ხელდასხმული

6



აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა – 65

## ხალხის ყვლეფის ოსტატები

ვინ იხდის მრიცხველის შემოწმების საფასურს?

9

## ნედლი ნავთობის საგრძნობლად გაიაფების მიუხედავად, რატომ ღირს საწვავი ასე ძვირი?

## შეგვეცოდოს თუ არა სააკაშვილი

8



◉ ჯერ თავო და თავო?!

# სანდრა რულოვსი მაიამიში ნებივრობს, კეზერაშვილი — ლას-ვეგასში, ოქრუაშვილმა კი პარიზის ცენტრში ხუთოთახიანი ბინა იყიდა...







ცხინვალის ომმა არა მარტო ფაქტობრივად დაკარგული ტერიტორიების დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება გამოიწვია, არამედ სახელმწიფო და, რაც მთავარია, სამხედრო სისტემის უსუსურობის სრული სურათი წარმოაჩინა. რომ არა ომი, კარგა ხნის განმავლობაში პრეზიდენტისა და მისი გუნდის თავბრუდამხვევი პროპაგანდის ტყვეობაში ვიქნებოდით: საქართველოს არმიას ბადალი არც კავკასიაში ჰყავს და არც მის საზღვრებს გარეთ, საქართველოს არმიის შეიარაღება თანამედროვე სტანდარტების სადარია, ის გაცილებით უკეთესია, ვიდრე „დაჟანგული" (თავდაცვის ყოფილი მინისტრის ტერმინიაძ რუსული ტანკები, ქართველმა ჯარისკაცებმა სრული საბრძოლო ნათლობა გაიარეს ერაყში და სხვა. მხოლოდ ოპტიმიზმით ზომაზე მეტად შეპყრობილთ შეეძლოთ იმის წარმოდგენა, რომ ქართული არმია რუსეთთან ომს გაუძლებდა, მაგრამ იმის გაფიქრება, რომ ელვის სისწრაფით დამარცხდებოდა, გაუძნელდებოდა.

არადა, კარგად გვახსოვს წვრთნის, მანევრების სატელევიზიო სიუჟეტები, გვახსოვს პარლამენტართა „პატრიოტული" განცხადებები უსაზღვროდ გაბერილი სამხედრო ხარჯების კიდევ უფრო გაზრდაზე, ამერიკელი სპეციალისტების ოპტიმისტური კეკლუცი ტელეობიექტივში ქართული არმიის სრულყოფილებასთან დაკავშირებით. მაინც, რა ნიჭიერები ვართ ეს ქართველები — სხვა რომ ჯარის გაზრდას ათეულ წელს ანდომებს, ჩვენ უმალ ვახერხებთ. შედეგი? პირველსავე გამოცდისას სრული ფიასკო.

ომში დამარცხება ვის არ განუცდია, ძლევამოსილ არმიებსაც კი. ამდენად, ცხინვალის შედეგი ნაკლებად საგანგაშოა იმასთან შედარებით, რა დასკვნაც გააკეთეს ორთვიანი შემოწმების შემდეგ ამერიკელმა ექსპერტებმა: დასკვნის შესახებ ამერიკულმა „ნიუ-იორკ-ტაიმსმა" გვაუწყა. იქ ისეთი პრიმიტიული საქმის არცოდნაზეა საუბარი, რაც არათუ ათწლიანი ამერიკულ წვრთნაგამოვლილ არმიას, არამედ სახელდახელოდ შეყრილ ლაშქარსაც არ ეპატიება. დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული არმიის არაპროფესიონალიზმისა და დემორალიზებულობის თაობაზე, თავდაცვის სამინისტროს არაკვალიფიციურობაზე, კოორდინირებული მოქმედების არარსებობაზე, მაღალჩინოსანთა მხოლოდ ნათესაურ-მეგობრული და არაპროფესიული თვისებებით შერჩევაზე და სხვა.

არადა, რამდენი ასეული მილიონი გადაიყარა წყალში! მაგრამ გადაიყარა? იქნებ სულაც არა? განა საამაყო არ არის, როდესაც ვუნდერკინდი, ქორფა ასაკის „გენერალი", თავდაცვის მინისტრი, მისი მოადგილე წელგამართული წარმოადგენს ქვეყანას უცხოეთში? ჩვენ ხომ ერთი რამ გვაფიქრებს, — რას იტყვიან უცხოეთში ან როგორ გამოვჩნდებით იქ? განა საამაყო არ არის, როდესაც ყოფილი თავდაცვის შეფი დავით კეზერაშვილი მეუღლესთან ერთად ბიზნესკლასით მიფრინავს ლას-ვეგასში, მსოფლიოს დროსტარებისა და აზარტული თამაშების მექაში, სადაც სუნთქვაც კი ფული ღირს? ნაყოფიერი შრომის შემდეგ დასვენებაც შესაფერისი უნდა იყოს. მინისტრის პირველი მოადგილე ბათუ ქუთელია, ასევე წარმატებული შრომის შემდეგ, დააწინაურეს აშშ-ში საქართველოს ელჩად. ახლა იქიდან შეგვაყრის მტერს ქართული დიპლომატიის „მოქნილი" მოღვაწეობით. მტრის შეყრას ის კარგად დაეუფლა თავდაცვის სამინისტროში. არც მათი წინამორბედი ირაკლი ოქრუაშვილია დასავიწყებელი, რომელიც პარიზის ცენტრში ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობს და საქართველოს გაბედნიერებას გვპირდება. თბილისში მოარული ხმების მიხედვით ბინა მისი საკუთრებაა. რა არის ამაში ცუდი? განა საამაყო არ არის, როდესაც ჩვენი სისხლი და ხორცი პარიზის ცენტრში ცხოვრობს, სადაც კვადრატული მეტრის ფასს ცეცხლი ეკიდება? საამაყოა, აბა, რა?

მაგრამ არის ერთი რამ — ხელისუფლებაში მყოფი თუ ხელისუფლებაგავლილი ყმაწვილი გოგო-ბიჭები, 5 წლის წინათ ცალ-ცალი „კალოშით" რომ მოვიდნენ პოლიტიკაში, დღეს მილიონებს ეთამაშებიან!

მკითხველს შევახსენებ შარშან პრესაში გამოქვეყნებულ მილიონერთა სიას. მაშინ ოქრუაშვილმა, რომელმაც საკუთარი თავიც აღმოაჩინა სიაში, განაცხადა, სია სააკაშვილმა შეთხზაო, თუმცა გარკვევით არ უთქვამს საკუთარი „დანაზოგის" შესახებ. ხელფასიდან გადანახული თანხით ვერც ლას-ვეგასის ბილეთს შეიძენ, მით უმეტეს ბიზნესკლასის (7.000 აშშ დოლარზე მეტიძ, ვერც ლას-ვეგასის სასტუმროში იცხოვრებ და ვერც აზარტული თამაშების სამყაროში შეჰყოფ ცხვირს, ისევე, როგორც ერთ დღესაც ვერ გაატარებ პარიზში.

ქართველებში ფესვგამდგარი გამოთქმა — ღმერთმა შეარგოს, კვლავ ძალაშია და ვიდრე ასეთი ბედოვლათები ვართ, არც ჯარი იქნება და არც სახელმწიფო.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

**P. S. არც პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა დაგვწყვიტა გული. 8 იანვარს მან უფროს ბიჭთან ედვარდთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაიამი ბიჩს მიაშურა დასასვენებლად. გაუბედურებულ თბილისში ყოფნას არ სჯობს გასხივოსნებული მაიამი?**

◉ ინფორმაცია

## ოპოზიცია პრობლემების ერთიან ხედვაზე უნდა შეთანხმდეს

**ლეიბორისტული პარტია 25 იანვარს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ ოპოზიციური პარტიის ლიდერები ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთიან ხედვაზე შეთანხმდებიან.**

**პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ნესტან კირთაძის განცხადებით, პრეზიდენტის შეცვლა მხოლოდ ერთი პიროვნების მეორე პიროვნებით ჩანაცვლება იქნება და მეტი არაფერი, თუ საგარეო პოლიტიკა ძირეულად არ შეიცვლება. „თუ ამაში შევთანხმდებით, მაშინ აქვს აზრი საპროტესტო აქციების გამართვას", — განაცხადა კირთაძემ.**

## გილაურს ორი თანამდებობა ეკავა და მესამესაც წამოიკიდებს ზურგზე

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემთხვევაში ფინანსთა მოქმედი მინისტრი ნიკა გილაური ამ თანამდებობას გაუძლებს და შიდა კონსტიტუციური ხარვეზების გადაფარვას შეძლებს. „გილაურს ორი რთული თანამდებობა ეკავა, მის მიმართ შენიშვნებიც იყო, თუმცა მოახერხა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური და პრობლემები გარეთ არ გამოსულიყო, ვფიქრობ, გილაური ამ თანამდებობაზე დანიშვნით შიდა კონსტიტუციური ხარვეზების გადაფარვას შეძლებს. ის საქმის გამკეთებელი კაცია და პოლიტიკური ამბიციები ნამდვილად არ აწუხებს. ამიტომ ამ თანამდებობას გაუძლებს", — განაცხადა საყვარელიძემ და დასძინა: „თუ ნოღაიდელი-გურგენიძე-მგალობლიშვილის მწკრივს განვიხილავთ, ცხადი ხდება, რომ პრემიერების დანიშვნის მექანიზმი საკანონმდებლო დონეზე მოუგვარებელია. „ძირითადი სირთულე კონსტიტუციური ხასიათისაა. მასში არ არის გამიჯნული პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებამოსილებები და პრეზიდენტს თავისუფლად შეუძლია პრემიერის საქმეებში ჩარევა, რაც, სულ მცირე, შეუთავსებლობის მუხტს ატარებს, — აღნიშნა საყვარელიძემ.**

ХО-ЭОВ-ЭЕО

◉ თვალსაზრისი



**ნომრის სტუმარია პროფესორი ბიძინა სავანელი**

# როგორ ვიხსნათ

**— ოპოზიციური პარტიები ერთხმად მოითხოვენ საქართველოში განმეორებითი პარლამენტის არჩევნების ჩატარებას. არსებობს თუ არა საქართველოში განმეორებითი პარლამენტის არჩევნების ჩატარების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი?**

— საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან და პარლამენტის არჩევნების მასობრივი გაყალბების ფაქტი არის საქართველოში განმეორებითი პარლამენტის არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი.

**— რა სამართლებრივი დოკუმენტები არსებობს იმისა, რომ ხალხმა, მათ შორის პოლიტიკურმა პარტიებმა, მოითხოვოს საქართველოში განმეორებითი პარლამენტის არჩევნების ჩატარება?**

— საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან და პარლამენტის არჩევნების გაყალბება დადასტურებულია საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების — ომბუდსმენის დასკვნით. ომბუდსმენის დასკვნის სავალდებულო იურიდიული ძალა ემყარება საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლს, რომლის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი".

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან და პარლამენტის არჩევნების გაყალბება დადასტურებულია ეუთოს საბოლოო დასკვნით. ეუთოს დასკვნის სავალდებულო იურიდიული ძალა ემყარება ეუთოს მიმართ საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს კონსტიტუციის მე-6-ე მუხლს, რომლის თანახმად: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრი ნორმატიული აქტების მიმართ"; აგრეთვე საქართველოს მიერ გაეროს წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლს, რომლის თანახმად: „ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით და თავისუფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით".

ომბუდსმენის და ეუთოს დასკვნები სრულ კანონიერ საფუძველს იძლევა, რათა ხალხმა, და მათ შორის პოლიტიკურმა პარტიებმა, პარლამენტში გაყალბებით მოსულ ადამიანთა ჯგუფს უნდობლობა გამოუცხადოს, და განმეორებითი არჩევნების ჩატარება კატეგორიულად მოითხოვოს.

**— განა 5 იანვრის პრეზიდენტის არჩევნები არ გაყალბდა? განა განმეორებითი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების მოთხოვნის უფლება არ აქვს ხალხს?**

— პარლამენტის არჩევნებთან შედარებით პრეზიდენტის არჩევნების შესახებ ომბუდსმენის და ეუთოს დასკვნები იურიდიულად სუსტი იყო. უფრო მეტი, ომბუდსმენმა სააკაშვილს პრეზიდენტობა მიულოცა, რითაც მან თავისი სამართლებრივი პოზიცია აშკარად გამოხატა. ამიტომ, ზემოაღნიშნული საფუძვლებით განმეორებითი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების მოთხოვნის იურიდიული ძალა, ვიმეორებ, შედარებით სუსტია.

მაგრამ, რადგან თქვენ კითხვა დამისვით, მე ვსარგებლობ შესაძლებლობით და ვაცხადებ, რომ 7 აგვისტოს შემდეგ გაჩნდა განმეორებითი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების სხვა, გაცილებით უფრო სერიოზული კანონიერი საფუძველი.

სააკაშვილის გადადგომის გაცილებით უფრო მეტი იურიდიული საფუძველი გაჩნდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამშვიდობო ზონაში მისი ბრძანებით დაიბომბა ცხინვალი, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობა და დაიღუპნენ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჯარისკაცები. ეს უკვე საერთაშორისო დანაშაულის — გენოციდის და ომის დანაშაულის ნიშნების მატარებელი ქმედებაა, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის განხილვას ექვემდებარება. ამასთან, ამავე ტრიბუნალმა უნდა განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონის გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების არაპროპორციული ქმედებაც, რაც გამოიხატა მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებაში და სამხედრო ობიექტების დაბომბვაში, და უფრო მეტი, სამაჩაბლოში და კოდორის ხეობაში მცხოვრები ქართველების ეთნიკურ წმენდაში, რაც ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის განხილვას ექვემდებარება როგორც ადამიანურობის, წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისთვის ყველაზე დიდი დანაშაული ისაა, რომ სააკაშვილის ევენტუალური განზრახვით თუ თვითიმედოვნებით, ანუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ბრალით, დე იურედ ვკარგავთ საქართველოს მეოთხედს. ეს კი 7 ნოემბერს ჩადენილ დანაშაულთან შედარებით ერის წინაშე გაცილებით უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რომელსაც სამშობლოს ღალატი ჰქვია. კერძოდ, სააკაშვილმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 71 მუხლით გათვალისწინებული ღვთისა და ერის წინაშე დადებული ფიცი: ხელყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა, და ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა, რაც საქართველოს კონსტიტუციის 63 და 75 მუხლების შესაბამისად მისი, სულ ცოტა, იმპიჩმენტის წესით გადაყენების საფუძველს იძლევა.

**— თუ არჩევნები მაინც დაინიშნა, რა გარანტიაა, რომ არჩევნები ისევ არ გაყალბდება?**

— არავითარი გარანტია არ არსებობს. როგორც წინა ხელისუფლება, ისე წინა ხელისუფლებიდან გამოყოფილი ახალგაზრდების ეს ჯგუფი, არჩევნების გაყალბების უკურნებელი სენით არის შეპყრობილი. უფრო მეტი. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამ ხელისუფლებაში სიცრუის და ორპირობის ეპიდემია

◉ ყველას თავისი აზრი აქვს

# ტყუილის ტყვეობაში თუ „სიბრძნე“ სიცრუისა?

**ტყუილს დიდი ძალა აქვს. მას შეუძლია ადამიანი დაატყვევოს. ცხონებული მოლა ნასრედინი, მაგალითად, საკუთარმა ტყუილმაც კი დაატყვევა: დაიყვირა, ფლავს არიგებენო და, რომ დაინახა ხალხი ქვაბებით გარბოდა, თვითონაც გამოეკიდა. თუმცა ტყუილი ყოველთვის ტყვეობა როდია. ზოგჯერ იგი „სიბრძნეც“ არის: რა შეიძლება ეწოდოს მატყუარა პრეზიდენტის მაამებლობით კეთილდღეობის მოპოვებას, თუ არა „სიბრძნე“ სიცრუისა.**

მიხეილ სააკაშვილმა რომ ტყუილი თქვას, გასაკვირი არ არის: ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტია, პრეზიდენტის ტყუილისა სჯერათ, მართლისა კი – არა? მას შემდეგ, რაც ბ-ნმა მიხეილმა ომის დაწყება აღიარა, მავან ექსპერტს (გვარს არ დავასახელებ, რადგან ჩვენ პიროვნებებთან არა გვაქვს საქმე, საქმე გვაქვს მოქმედებებთან, აზრებთანძ, კვლავ ეჭვი ეპარება იმაში, რომ ომი მიშამ დაიწყო, ხოლო იმაში, რომ იგი სწორად მოიქცა, ეჭვი არ ეპარება:

„მე, როგორც სამართლის ექსპერტი, ვამბობ: დავუშვათ, ჩვენ პირველებმა დავიწყეთ სამხედრო მოქმედებები, მერე რა. ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო, ჩვენს ტერიტორიაზე მიდის კონფლიქტი. ერთ მხარეს არის რეალობა... რენციის უნივერსიტეტის პროფესორი ანტონიო კასესე: „საქართველომ, შეიძლება, წინდაუხედავად დაიწყო სამხედრო მოქმედება, მაგრამ მას არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, თუნდაც ნომინალურად, საქართველოს ტერიტორია იყო. მისი შეფასებით, არც ის მტკიცდება, რომ საქართველომ სამხრეთ ოსეთში ჩაიდინა ეთნოწმენდა და გენოციდი“ („სრ“ 02.12.2008ძ.

ტერიტორია ჰაი, ჰაი, რომ ჩვენია. ამის ცოდნას საერთაშორისო სამართლის სპეციალისტობა რად



პრეზიდენტების საქმე კი ტყუილებია. იგი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი პრეზიდენტებისაგან, რომ არ შეუძლია ბოლომდე იტყუოს და თვითონვე გასცემს ხოლმე თავის ტყუილს. გახსოვთ, ალბათ, უპილოტოს თვითმფრინავის ჩამოგდების ამბავი, რუსებს რომ აბრალებდა, თქვენი თვითმფრინავი რატომ შემოიჭრა ჩემს სივრცეშიო, და მერე იქით დაუწყო დავა, ჩემი თვითმფრინავი რატომ ჩამოაგდეთო! ახლაც, იმდენი იძახა, „ომი პირველმა რუსეთმა დაიწყოო“, კინაღამ თვითონაც დაიჯერა, მაგრამ მერე პატიოსნად აღიარა: “მე ყოველთვის აშკარად ვაღიარებდი, რომ გავეცი ბრძანება, გამოგვეყენებინა სამხედრო ძალა სამხრეთ ოსეთშიო“.

მიხეილ სააკაშვილისაგან აღარც ტყუილი გვიკვირს და აღარც მართალი, მაგრამ რა დავარქვათ ზოგიერთი სამართლის ექსპერტის ქმედებას, რომლებსაც ტები, ჩვენს ტერიტორიაზე სეპარატისტები გვესვრიან, ჩვენს ტერიტორიაზე სეპარატისტებს ეხმარებიან რუსები და ეს რეგიონები იარაღით აივსო, რუსეთმა ჩვენს ტერიტორიაზე გაავრცელა თავისი მოქალაქეობა, დაარიგა პასპორტები და ყველა საერთაშორისო ფორუმზე ამტკიცებდა, რომ ვალდებული იყო, დაეცვა თავისი მოქალაქეები. ყველაფერი იყო იდეოლოგიურად და ფიზიკურად მომზადებული: ორივე კონფლიქტურ რეგიონში ჯარი იყო შეყვანილი; ისროდნენ მშვიდობისმყოფელი ძალების ზურგიდან, ანადგურებდნენ ახლადაშენებულ სახლებს, სოფლებს, მშვიდობიან მოქალაქეებს, პოლიციელებს. ჩვენ ეს ვიცოდით“.

პატივცემულ ექსპერტს, იმის დასამტკიცებლად, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ჩვენი ტერიტორიაა, მოწმედ მოჰყავს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ფლორენციის... უნდა. ბ-ნი მიხეილიც ხომ ამბობს, “საქართველოს მხარეს ნაბიჯიც არ გადაუდგამს საქართველოს ტერიტორიის მიღმაო“. განა ცხონებული პროფესორი თამაზ ბუაჩიძე კი (ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი!ძ მართალი არ იყო, 9 აპრილის გამო მიხეილ გორბაჩოვს რომ უთხრა, “ეტა ჟე ნაშა ზემლიაო“ (ეს ხომ ჩვენი მიწააოძ?! მაგრამ არ გახსოვთ, რა პასუხი გასცა იმ დალიანმა: “ნე ტოლკა ზემლია, ნო ი ვოზდუხ ნე ვაშიო“ (არა მარტო მიწა, არამედ ჰაერიც არ არის თქვენიოძ!

„ძალა მოვიდა, სამართალი ბანში ავიდაო. ამიტომ ამბობს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე: „დღეს ერთ მხარეს არის რეალობა, მეორე მხარეს – სიმართლე. რეალობა არის ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო სამართლიანობა ჩვენ მხარეს და ვცდილობთ, სიმართლემ გადაფაროს რეალობა, მაგრამ ეს არასოდეს მომხდარა და არც არასოდეს მოხდება. ხელისუფლება რეალობას არაცივილიზებულად აქცევს ზურგს, რაც ძვირად დაგვიჯდება“ („სრ“ 02.12.2008ძ.

ბ-ნ სოსოს აქ მხედველობაში აქვს ისტორიულ-ზნეობრივი სიმართლე, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენს მხარეს არის. მაგრამ თურმე არსებობს სხვა სიმართლეც, სახელდობრ, საერთაშორისო იურიდიული სამართალი, რომელიც განსხვავდება ჩვენი წყალგაუვალი სიმართლისაგან, და რომელიც, ჩანს, კარგად არ სცოდნია არა მარტო ბ–ნ სამართლის ექსპერტს, არამედ ჩვენს კეთილისმყოფელ ანტონიოსაც. იმას, თუ ვინ ითვლება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, აგვისტოს ომის დამწყებად ანუ აგრესორად, პოლიტოლოგი ნუგზარ მოლოდინაშვილი ასე განმარტავს:

„კითხვას ლეგიტიმურად არსებობის უფლება აქვს და რადგან ასეა, ე.ი. პასუხიც არსებობს. დღევანდელი მონაცემები, უცხოური პრესა და სხვა საკითხები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ ომი პირველმა საქართველომ დაიწყო... რუსეთს ამის უფლება (იგულისხმება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჯარის ყოლა თუ შეყვანა -ო.ხ.ძ საქართველოსგან ჰქონდა მიღებული და კონფლიქტის ზონაში იდგა როგორც მედიატორი მხარე სამშვიდობო ძალების სახით. შესაბამისად იქ ყველაფერზე პასუხისმგებელი ის იყო და დღეს უკვე კითხვა – რატომ ჩაერია რუსეთი საქართველოს შიდა საქმეებში, უმართებულო და არალეგიტიმურია“ („სრ“ 04.12.2008ძ.

ამ დღესავით ნათელი განმარტების შემდეგ, სამწუხაროდ, ვეღარც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის ავტორიტეტი გვიშველის. სასიხარულოა (ამ შემთხვევაში სამწუხარო რომ არ იყოსძ, რომ ზოგჯერ ჩვენი რიგითი პოლიტოლოგები უკეთ ერკვევიან საერთაშორისო სამართალში, ვიდრე ტიტულოვანი უცხოელი, ან მათზე დიდი წარმოდგენის მქონე ჩვენი, საერთაშორისო სამართლის ექსპერტები.

იხ. 4 გვ.

◉ თვალსაზრისი

# საქართველო?



ბოგობქრობს, და ეს ეპიდემია უკვე ქართველ ხალხს, და რაც ყველაზე საგანგაშოა, ახალგაზრდობას ემუქრება. ახალგაზრდობაში მიზანმიმართულად ინერგება სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, წარმატების მისაღწევად ახალგაზრდა ტყუილის თქმის უნარ-ჩვევებით დაჯილდოებული უნდა იყოს.

მაგრამ არც ეს არის საკმარისი. ცხოვრებაში წარმატებისთვის ახალგაზრდაში „ეროვნებაგარეცხილობის“ სათანადო დონე უნდა იქნეს წარმოდგენილი, ანუ ის უნდა იყოს ეროვნულ ნიღაბს ამოფარებული კოსმოპოლიტი, რაც ასე რელიეფურად იკვეთება ხელისუფლების ზედა ეშელონში. ამრიგად, რაც უფრო „ეროვნებაგარეცხილია“ ახალგაზრდა, მით უფრო მაღალი თანამდებობის დაკავების შანსი აქვს მას. ზოგიერთი ჩვენი მეზობლისგან განსხვავებით, ქართველი ისტორიულად ცრუ და ორპირი არასდროს ყოფილა. არსებობს სლოგანი: ისრაელში ერთი ებრაელის საფლავზე წარწერაა, ერთი ეროვნების წარმომადგენელს სიკვდილიდან ასი წლის შემდეგაც არ ენდოთო. ეს სლოგანი ზედგამოჭრილია ერთ პიროვნებაზე...

**– სად არის გამოსავალი?**

– გამოსავალი ერთადერთია: არჩევნები უნდა ჩაატარონ უშუალოდ გაერომ და ეუთომ ერთობლივად, მოქმედი ავტორიტეტული ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რის შესახებაც 2005 წლიდან მოვუწოდებ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ ამაოდ: მათ სჯერად, რომ დასავლეთისგან ასეთი დახმარების გარეშე შესძლებენ ხელისუფლებაში მოსვლას. არადა, რამდენჯერ დამარცხდნენ და ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს...

**– უშუალოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყანაში არჩევნების ჩატარების რა წესები არსებობს?**

– სანიმუშოდ გაგაცნობთ გაეროს სტანდარტებს.

წევრი-ქვეყნის მოთხოვნით იდება ყოვლისმომცველი საერთაშორისო ხელშეკრულება ხელისუფლებასა და გაეროს შორის მთელი საარჩევნო კომპანიის დროს გაეროს მონაწილეობის შესახებ.

წევრ-ქვეყანაში მთელი საარჩევნო კომპანიის მიმდინარეობისას გაერო ძირითადში სამი ალტერნატიული ფორმით მონაწილეობს.

**ესენია:**

**1. უშუალოდ გაეროს მიერ არჩევნების ქმედითი ორგანიზაცია და ჩატარება, რომელიც მოიცავს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფას საერთაშორისო სტადარტების მიხედვით, არჩევნების ორგანიზაციის და ჩატარების დაფინანსებას და ა. შ.**

**2. წევრი-სახელმწიფოს მიერ არჩევნების ორგანიზაციასა და ჩატარებაზე გაეროს ზედამხედველობა და გაეროს მიერ არჩევნების შედეგების ოფიციალური დადასტურება.**

**3. წევრი-სახელმწიფოს მიერ არჩევნების ორგანიზაციასა და ჩატარებზე დაკვირვება და გაეროს მიერ არჩევნების შედეგების ოფიციალური დადასტურება.**

საქართველოში არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების მეორე და მესამე ფორმამ, ანუ არჩევნების ფაქტობრივად ხელისუფლების მიერ ჩატარებამ და საერთაშორისო ორგანიზაციების მხოლოდ ფორმალურმა დაკვირვებამ არ გაამართლა. ამიტომ, ხალხმა, მათ შორის პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოითხოვოს პირველი ფორმა, ანუ უშუალოდ გაეროს და ეუთოს მიერ არჩევნების ერთობლივი ორგანიზაცია და ჩატარება. სხვა გზა არ არსებობს, რადგან ამ ხელისუფლებამ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის ცრუ და ორპირი, ანუ მისი ნდობა არ შეიძლება. ოპოზიციური პარტიები უნდა განთავისუფლდნენ ილუზიებიდან...

**– რა გარანტიაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ აჰყვებიან ქრთამის ცდუნებას? საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს ხომ არც თუ ცოტა დამკვირვებელი ხელისუფლებასთან გარიგებაში იყო შენიშნული?**

– ეჭვი საფუძვლიანია, მაგრამ ერთია არჩევნებზე პასიური დაკვირვება, მეორეა – არჩევნების აქტიური ჩატარება. არჩევნებზე პასიური დაკვირვებისას აქტიურობა საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის არც არის რეკომენდებული, რადგან ისინი არ შეიძლება გახდნენ პარტიებს შორის, პარტიებსა და სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიებს შორის, ამომრჩევლებსა და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს, სახელმწიფო ორგანოებს, პარტიებს და ამომრჩეველთა შორის და ა. შ. დაპირისპირების კატალიზატორი, ანუ აქტიურად არ უნდა ჩაერიონ ქვეყნის შინაურ საქმეებში.

**უშუალოდ გაეროს და ეუთოს მიერ ქვეყანაში გაუყალბებელი არჩევნების დაფინანსების, ორგანიზაციის და მისი აქტიური ჩატარების შემთხვევაში ძირითადი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.** საერთაშორისო ორგანიზაციები სისხლხორცეულად არიან და იქნებიან დაინტერესებული, რათა მათი საერთაშორისო ავტორიტეტი და იმიჯი არ შეილახოს, და რაც მთავარია, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში არ გახდნენ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების უნებური ხელშემწყობნი. ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა არჩევნებმა პრაქტიკით აპრობაცია გაიარა და გაამართლა: ხორვატიაში, კამბოჯაში, აღმოსავლეთ სახარაში, ალბანეთში, მექსიკაში, ბრაზილიაში, მაკედონიაში და სხვა ქვეყნებში.

საზოგადოებას, მათ შორის პოლიტიკურ პარტიებს, მერამდენედ ვთხოვ, დამიჯერონ: **საქართველოში, და პერსპექტივაში კავკასიაში, მშვიდობის თანამშრომლობის დამყარების და საქართველოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გარანტია არის უშუალოდ გაეროს და ეუთოს მიერ დაფინანსებული, ერთობლივი, ერთმანეთთან კოორდინირებული და ურთიერთკონტროლს დაქვემდებარებული პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების ჩატარება.**

ესაუბრა
**ალექსანდრე ავალიანი**

◉ ყველას თავისი აზრი აქვს

# ტყუილის ტყვეობაში თუ „სიბრძნე“ სიცრუისა?



(მესამე გვერდიდან)

წუხილის თავი და თავი კი ის არის, რომ “რიგით“ თუ რიგიან პოლიტოლოგებს გასავალი არა აქვთ ჩვენს ურიგო პრეზიდენტთან!

ჩაიდინა თუ არა მიხეილ სააკაშვილმა (საქართველო რა შუაშია?!ძ ეთნოწმენდა და გენოციდი სამხრეთ ოსეთში, მაგას, ალბათ, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი გაარკვევს. როგორც უნდა იყოს, ცოდო იქნება, ბ-ნ მიხეილს ოსების ეთნოწმენდა და გენოციდი დავაბრალოთ. ეთნოწმენდაც და გენოციდიც ამ უკანასკნელმა თავის ხალხს მოუწყო, არა მარტო “ოსების“, არამედ საკუთარ ტერიტორიაზეც! ბ-ნი სოსოს სიტყვებით რომ ვთქვათ, “როგორც რომმა გადახნა კართაგენი, ისეა მიწასთან გასწორებული ოსეთში ქართული სოფლები“.

მე, ცხადია, მიშას მხარესა ვარ, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვკითხო: თუ არც ძალა ჰქონდა და არც სამართალი, რა ეშმაკი შეუჩნდა, რომ ომს უწყებდა თავისზე ასჯერ და ათასჯერ ძლიერ მოწინააღმდეგეს?! ბ-ნ „მაგარს“ სამართალი რომ არ ჰქონდა, ადრეც ვიცოდით, მაგრამ, ჩანს, მოეჩვენა, რომ ძალა ჰქონდა, ხოლო თუ ძალა აქვს, მისი გაგებით, სამართალი რიღის ტიკი-ტომარაა. იფიქრა, ამდენმა ხალხმა, ამდენი რამის გამო, ყურებზე ხახვი ვერ დამაჭრა და ეს ახალი ლილიპუტი (მედვედევიც ლილიპუტად ჩათვალა, ეტყობაძ რას დამაკლებსო. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს სამართლის ექსპერტს.

ბ-ნი ექსპერტი თავს ანებებს სამართალზე მსჯელობას და ომის გარდუვალობის დამტკიცებას ცდილობს: „რაც უნდა გაეკეთებინა ქართულ მხარეს, ჩვენ ამ ომს ვერ ავიცილებდით. დაგვიანება უკვე სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. რაც უფრო მჭიდრო იქნებოდა ურთიერთობა ნატოსთან, ვიდრე ჩვენ ნატოს წევრები გავხდებოდით, უფრო ადრე დაგვარტყამდნენ“.

დალოცვილო, თუ ასეთი უსაშველობა იყო, რაღაზე მოგვაცდინეთ სამართალზე ამდენი ლაპარაკით! ახლა რაღა ეშველება, მაგრამ არც ასე უსაშველოდ ყოფილა საქმე. ბ-ნი სოსო საფუძვლიანად უარყოფს ამ თვალსაზრისსაც: „ამბობენ, ომი გარდაუვალი იყოო. მაგრამ ვინც ჩახედულია საერთაშორისო ურთიერთობებში, მან კარგად იცის, რომ კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა ომი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი ყოფილიყო... რითი დამთავრდებოდა ომი ამის ცოდნას დიდი ნოსტრადამუსობა არ უნდოდა, ლელა კაკულიას დონეც ეყოფოდა, ამაზე ადვილი გასათვლელი არაფერი იყო... ჩვენ, ალბათ, გვინდოდა, დაგვეწყო ომი და გვინდოდა, წაგვეგო ომი... სააკაშვილს რომ ცხინვალის რეგიონში ომი მოეგო, ეს იქნებოდა ჟურნალი, ხოლო მერე რას იზამდა რუსეთი აფხაზეთში, ეს იქნებოდა კინო“.

პოლიტოლოგის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ საქმე გვქონია არა იმდენად ჭკუის პრობლემასთან („ლელა კაკულიას დონეც ეყოფოდა“ძ, რამდენადაც ნების პრობლემასთან („გვინდოდა, დაგვეწყო ომი და გვინდოდა, წაგვეგო ომი“ძ. ვინც არის ეს „თვით-ნება“, ყველასათვის ნათელია. ხოლო ასეთ ვითარებაში, რა მნიშვნელობა აქვს, ჭკვიანი იქნება თუ სულელი მისი მინისტრი. ამ გაგებით, ზედმეტად ოპტიმისტური გვეჩვენება ბ-ნი სოსოს დასკვნა: „ჩვენც ჭკუა უნდა გვეხმარა, დაბალანსება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა, ეკა ტყეშელაშვილი კი არ იყოს მინისტრი, არამედ ლევან ალექსიძე“.

ბ-ნ ლევანი რომ უკეთ დაუბალანსებდა მიხეილ „თვითნებას“ საგარეო საქმეებს, ეჭვი არ გვეპარება. მაგრამ რატომ არ მოსწონდა ბ-ნ სოსოს ქ-ნ ეკას საგარეო საქმეთა მინისტრობა? რა, უკეთესი იქნებოდა, რომ იგი რესპუბლიკის პროკურორად დარჩენილიყო და განეხორციელებინა „ოპოზიციონერების“ მიმართ თავისი დანაქადი (ისე, მადლი კი იყო ზოგიერთი მათგანის ვირის აბანოში გაშვება!ძ? მე მგონია, რომ საშინაო საქმეებიდან მოცილება ისეთი ოდიოზური ფიგურებისა, როგორებიც არიან ეკა ტყეშელაშვილი, გიგა ბოკერია (ისე, ბ-ნი სოსო ხშირად უქებს ხოლმე ჭკუას მასაც!ძ, კახა ლომაია და რა თქმა უნდა, გიორგი ბარამიძეც (ეს “ევროინტეგრაციის“ მინისტრი ბრიუსელიდანაც უტარო კოვზივით ჩრის ხოლმე ცხვირს საშინაო საქმეებში და შინ რომ რამე ეკითხებოდეს, რაღას იზამდა!ძ,- ერთგვარი შეღავათია საქართველოს მოსახლეობისთვის. საგარეო საქმეებში მათ დიდი ზიანის მოტანა არ შეუძლიათ, რადგან იქ გასაკეთებელი არაფერია და სადაც არაფერი კეთდება, ვერც ვერაფერს გააფუჭებენ. ამ თვალსაზრისით, ბ-ნი მიხეილის მოქმედება მხოლოდ მისასალმებელია. იგი რომ გივი თარგამაძესაც, გიგი უგულავასაც, ნიკა რურუასაც და ნიკა გვარამიასაც საშინაო საქმეებიდან მოგვაცილებდეს და თავიანთი დონის ქვეყნებში “ელჩებად“ გაუშვებდეს (ბ-ნმა ვაშაძემ ხომ გაათავისუფლა „ელჩების“ ადგილები!ძ, უკვე მადლობა გვექნებოდა სათქმელი. ნუგზარ წიკლაური და თემურ იაკობაშვილი დიდს ვერაფერს დააშავებენ ადგილზე დარჩენით: პირველმა, დიდი დიდი, შუბლი გაიტეხოს პუშკინის ძეგლზე თავის რტყმით, ხოლო მეორემ ულიმღამო ყოფით დაღვრემილი საზოგადოება ხანდახან მაინც გააცინოს. რაც შეეხებათ მერაბიშვილს, ძმებ ახალაიებს და კახა ბენდუქიძეს, პირველ ორს (ანუ სამსძ ვერასოდეს მოვიცილებთ, სანამ სააკაშვილს არ მოვიცილებთ, ხოლო მესამეს (ე.ი. მეოთხესძ — სანამ რუსეთს არ მოვიცილებთ!

ეკა ეკად, მაგრამ ერთი შეკითხვა ბ-ნ ლევანსაც უნდა დავუსვათ: „სიკვდილის ტოლფასი“ ის იქნებოდა, რომ „დაგვეგვიანა“, თუ ის არის, რომ “არ დავაგვიანეთ“? პირადად მას შვილები და შვილიშვილები ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს, მაგრამ იმათ დედებმა რა ქნან, ვისთვისაც ეს „არდაგვიანება“ სიკვდილის ტოლფასზე მეტია?! მაგრამ, ჩანს, “სახელმწიფოებრივად აზროვნება“ იმას გულისხმობს, რომ საკუთარ თავზე და ოჯახზე იზრუნონ, ხოლო „სხვები“ და „სხვისი“ ოჯახები ფეხებზე დაიკიდონ!

და კიდევ ერთი, აწ უკვე საზოგადო, კითხვა: თუ ასეთი საბედისწეროა ჩვენთვის ნატო, რას ვურტყამთ თავს მის დაკეტილ კარებს? თუ ჩვენი სიყვარულის ბუშტი გაუსკდათ (ამ გამოთქმას ჟურნალისტ დავით მხეიძეს ვუმადლიძ, ადგნენ და უ-მაპ-ოდ (თუ უ-მეპ-ოდ?ძ მიგვიღონ, თორემ სანამ პეტრე (მეპიძ მოვიდოდა, პავლეს (საქართველოსძ ტყავი გააძვრესო. ჩვენში დარჩეს და, რომ უნდოდეთ, უ-ნატო-ოდაც დაგვიცავდნენ (სააკაშვილის დაცვა თუ გადარჩენა ჩვენი დაცვა არ არისძ. მაგრამ ავი ხმები ამბობენ, რომც მიგვიღონ, მისი “ქოლგა“ (ეს სიტყვა კი ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს ვესესხეძ ყველას არ გადმოგვწვდებაო.

ხოლო თუ არც ჩვენთვის მოიკლავენ თავს მაშინაც, როცა “მიგვიღებენ“ (როცა ვირი ხეზე ავა!ძ, გამოდის, რომ ჩვენ კი არ გვჭირდება ნატო, ჩვენი უსაფრთხოებისათვის, არამედ მას სჭირდება რუსეთის მიერ ჩვენი გვემა, რუსეთისადმი სიტყვიერი სამდურავის სათქმელად და მასთან თავისი ურთიერთობის გასარკვევად. არც ომი იქნება, არც ჩვენი ნატოში მიღება, მაგრამ ნატოში მისაღებად ჩვენ სულ ომში ვიქნებით რუსეთთან. ამიტომ იქნებ სჯობდა, რუსეთ-ნატოს ურთიერთობის გარკვევა მათთვისვე დაგვენებებინა (ოღონდ არა საქართველოს ტერიტორიაზე!ძ, ხოლო ვიდრე ისინი ამას გაარკვევენ, ჩვენ “დროებით“ ნეიტრალიტეტი გამოგვეცხადებინა და ერთთანაც კარგად ვყოფილიყავით და მეორესთანაც?!

ომის თავიდან აცილებას, ამ ეტაპზე მაინც, სჭირდებოდა და სჭირდება (რადგან ომი ჯერ არ დამთავრებულაძ სრულიად მარტივი რამ: ნატოსთან სახიფათო და უსარგებლო თამაშისათვის თავის დანებება. მედვედევმა გაპრეზიდენტებისთანავე შესთავაზა სააკაშვილს, სანამ მას „პოლიტიკურ გვამად“ გამოაცხადებდა, დავსხდეთ და მოვაწესრიგოთ რუსეთ-საქართველოს გაფუჭებული ურთიერთობაო. საამისოდ იგი მხოლოდ ერთ პირობას მოითხოვდა მისგან: მაგ ნატოს მოეშვიო, რაზეც ბ-ნმა მიხეილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მერე მოხდა ის, რაც მოხდა. ოღონდ, ის ქვა, ვისაც უნდა მოხვედროდა, იმას არ მოხვდა, ხალხს მოხვდა. ერთიც მგლისკენ თუ დათვისკენ: რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, იმიტომ ხომ არ გაიყვანა საქართველოდან თავისი ბაზები, რომ სააკაშვილს, მის წინააღმდეგ, ნატოს ბაზები შემოეყვანა?! ამის გაგებას რა საერთაშორისო სამართლის ექსპერტობა სჭირდება?!

ყველაზე მთავარი, რაც ჩვენ დღეს გვჭირდება, ის არის, რომ თავი დავაღწიოთ ტყუილის ტყვეობას და თვალი გავუსწოროთ სიმართლეს.

**ომარ ხახაშვილი.**
**ბელგიის მოქალაქე**

◉ პარტიებსა და მოძრაობებში

# ვადამდელი არჩევნებისთვის ეროვნული კრება იზრუნებს

***ოპოზიციის უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები იქნება, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია როგორ უნდა დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. საქმე ის არის, რომ საკონსტიტუციო მექანიზმები ვადამდელი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნისა იმდენად რთულია, რომ ძნელად წარმოსადგენია სამართლებრივად როგორ უნდა დაინიშნოს ის. კერძოდ: იმისათვის, რომ ვადამდელი პარლამენტის არჩევნები დაინიშნოს, ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, ბიუჯეტთან დაკავშირებით ან მთავრობისთვის ნდობის გამოუცხადებლობით პარლამენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირება უნდა მოხდეს. ფაქტია, რომ რეალურად ეს დაპირისპირება არ მოხდება.***

ასეა თუ ისე, ოპოზიცია მაინც დარწმუნებულია, რომ ეს საკითხი გადაწყდება. უფრო მეტიც, ოპოზიცია ასეთი არჩევნებისთვის უკვე ემზადება, ხელისუფლება კი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში არჩევნების ჩატარება გამორიცხულია. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელი თავის ნებისმიერ გამოსვლაში თუნდაც ერთხელ აუცილებლად ახსენებს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, თითქოს ყველაფერი გლობალური ფინანსური კრიზისის ბრალია და მანამდე დალხენილი ვიყავით.

გარკვეული პოლიტიკური პარტიები მოითხოვენ, რომ ამიერიდან არჩევნები საქართველოში საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარონ. მათი აზრით, ეს ერთადერთი გამოსავალია, რადგანაც მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების მიერ არჩევნების ჩატარებამ და საერთაშორისო ორგანიზაციების მხოლოდ ფორმალურმა დაკვირვებამ არ გაამართლა.

ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიები კი პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ ხელისუფლება არაფერს ამბობს მათ დაფინანსებაზე. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინათ ხელისუფლებამ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც ხუთპროცენტიანი ბარიერი გადალახეს და პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადეს, დაფინანსება შეუწყვიტა. დღეს ხელისუფლებამ პარტიათა დაფინანსებაზე საუბარი დაიწყო. საუბარმა იმ პარტიებზეც, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა აქვთ მიღებული და ვერ გადალახეს ბარიერი. ხელისუფლებამ ძირითადად იმ პარტიათა დაფინანსება დაიწყო, რომლებიც წლების მანძილზე ილებდნენ დაფინანსებას, მათ შორის დაფინანსება საპარლამენტო ოპოზიციასაც გაეზარდა. ჰოდა, ამ საერთო წახალისების ფონზე, ის პოლიტიკური ძალებიც ალაპარაკდნენ, ჩვენც დაგვაფინანსონო, რომლებიც პოლიტიკურ პარტიად სულ ახლახან ჩამოყალიბდნენ. მათი აზრით, იკვეთება ისეთი პოზიცია, რომ ხელისუფლებას ახალი პოლიტიკური ძალების მოძლიერება ხელს არ აძლევს. მოკლედ, ახალი პარტიები ხელისუფლებისგან თუნდაც მიზერულ დაფინანსებას ითხოვენ. აღნიშნავენ, რომ ამის შესახებ საპარლამენტო ოპოზიციას ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრები სოზარ სუბარი და გია ყარყარაშვილი იქნებიან. ლეიბორისტები მიიჩნევენ, რომ ალასანიას კარგა ხნის მანძილზე მოუწევს თავგანწირული ბრძოლა, რათა ქართულ პოლიტიკაში დამაგრდეს. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ალასანიას მიმართ დადებითად არის განწყობილი და თამამად აღიარებს, პოლიტიკოსებს შორის დღეს მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვსო, თუმცაღა ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ ალასანიაც „ამერიკული პროექტია“. ვნახოთ, რა პოლიტიკური ხედვა ექნება ირაკლი ალასანიას, რა პროგრამას წარუდგენს იგი საზოგადოებას.

ეროვნული კრების მოწვევის იდეამ საზოგადოებაში გარკვეული გამოხმაურება ჰპოვა. ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ საქმეს დიდი ორგანიზება სჭირდება, რომელსაც ყველა პარტიამ და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს.

შეგახსენებთ: „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია, „ქალთა პარტიის“ ლიდერი გუგული მაღრაძე ეროვნული კრების მოწვევის იდეის გარშემო გაერთიანდნენ. იდეის ავტორების აზრით, ეს არანაირი პარტიული ალიანსი არ არის, მისი კარი ღიაა ყველასთვის, იგი მთელი ერის აზრის გამომხატველი უნდა იყოს. ზემოთ აღნიშნული პარტიების ლიდერები ფიქრობენ, რომ მიმზიდველად ჩატარებული კრება ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აიძულებს.

**მზია გელენავა**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

# ზურაბ ავალიშვილი
# საქართველოს შეერთება რუსეთთან

მაგრამ შიშიც აღარ იქნება მათთვის შემაკავებელი სტიმული, თუ გაუჩნდებათ იმედი, მესამე სახელმწიფოს მეშვეობით, დაუპირისპირდნენ მეორე მხარის ინტერესებს. სწორედ ამიტომ, რუსეთის სააზიო პოლიტიკას მტკიცედ აქვს შეთვისებული პრინციპი: არასდროს არ დაუშვას უცხოეთის სახელმწიფოთა არც შუამავლობა, არც ჩარევა ან, თუნდაც, კეთილი სამსახური, და „და განიხილოს ეს ურთიერთობანი უფრო როგორც შინაური საქმე“.

ეს პრინციპი რუსეთში საპოლიტიკო აქსიომად გადაიქცა, და „თუ მოიძებნება სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია საუცხოოდ გაიგოს მიზეზები, თუ რატომ არ იქნება ამ აქსიომიდან გადახვევა – ეს არის ინგლისი, რომლის ურთიერთობასაც ინდოეთის ხალხებთან ამდენი მსგავსება და ანალოგია აქვს ჩვენს სააზიო ურთიერთობებთან“ (დაწერილია ნესელროდეს მიერ გრ. ლივონისადმი (ლონდონელი ელჩისადმიძ რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის გამო, მოტანილი აქვს მარტენსს, ტრაქტატებისა და კონვენციების კრებულში, ტ.XI, გვ.265ძ.

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა რუსეთისადმი მტრულ „აზიის ხალხებს“. მაგრამ არ არის ძნელი მისახვედრი, რომ „შინაური საქმეების“ კატეგორიას საქართველოსადმი დამოკიდებულება ყველაზე მეტად ესატყვისება. საქართველო იყო აზიის ნაგლეჯი, რომლის მიმართ „შინაურულ“ დამოკიდებულებას აღრმავებდა მისი ერთმორწმუნეობა და მეგობრობა.

სწორედ აზიატობის, მართლმადიდებლობისა და მეგობრულობის გამოისობით, წყდებოდა საქართველოს საქმეები ასე პატრიარქალურად (ტყუილად კი არ უცხადებდა ეკატერინე ქართველებს „დედობრივ“ კეთილნებობას, ხოლო რწმუნებული მოციქულნი იმპერატორ ალექსადრეს „მამაშვილურ კეთილმეურვეობას“ სთხოვდნენ.

## 2.

მაგრამ პროტექტორატების საკითხში განსხვავება ინგლისსა და რუსეთს შორის განსაკუთრებით დიდია. თითქმის საქართველოს შემოერთების ერთდროულად, ინდოეთში შეთვისებულ იქნა და სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა იქამდე დამოუკიდებელ კოლონიურ სახელმწიფოთა ხელქვეით მოკავშირეებად (Sudject alliesm, ან როგორც მათ კიდევ უწოდებენ „Subsidiary Allies“ძ გადაქცევის სისტემა. ინგლისს ჯარები ჰყავს ასეთ სახელმწიფოებში და იცავს მათ, ამასთან ხარჯებს განაკუთვნებს ადგილობრივ ბატონიშვილთა ანგარიშზე. ეს უკანასკნელნი მთლიანად ინარჩუნებენ შინაგან მმართველობას – მაგრამ, გასაგებია, სინამდვილეში, ბრიტანეთის ხელისუფლების აგენტი, რომელსაც ყოველი ასეთი სახელმწიფოს დედაქალაქში აქვს ადგილსამყოფელი, გავლენას ახდენს მის შინამმართველობაზეც.

ეს სისტემა, ლორდ კორნვალისის სახელს რომ უკავშირდება, წარმოადგენს ინდოეთში ინგლისის ინტერესების, რა თქმა უნდა, გონივრულ შერიგებას ადგილობრივ ხელმწიფეთა დამოუკიდებლობასთან, რომელიც, თუმცაღა, არ არის სრული. სხვაგვარად ინგლისისათვის შეუძლებელი იქნებოდა, გაევრცო ძალაუფლება ინდოეთის ასეთ უზარმაზარ და ასე დასახლებულ სივრცეზე, შეიარაღებული ძალების შეზღუდულობისა და იქ მყოფი ინგლისელების მცირერიცხოვნობის პირობებში. ხოლო რუსეთი ვერ შეითვისებდა ასეთ სისტემას, იმიტომ, რომ ამისათვის უნდა ყოფილიყო, ჯერ ერთი, უფრო სუსტი, და, მეორეც, იგი თავისთან მეტისმეტად იყო დაჩვეული მმართველობის ათასგვარ ყოვლისშთანმთქმელ ხერხებს.

ძალთა თანაფარდობა და რუსეთის ადმინისტრაციული ტრადიციები არ სწყალობდნენ პროტექტორატს ქართული სამფლობელოებისადმი. სიუზერენის როლი არასდროს არ ეპიტნავებოდა რუსეთს, და ყოველივე ფეოდალური, „ირეგულარული“, სულაც არ ხიბლავდა იმათ, ვისაც მოსკოვის რუსეთისა და პეტრე დიდის სკოლა ჰქონდა გამოვლილი.

## IV

ორი მიმდინარეობა, ერთმანეთს რომ შეეჯახა სახელმწიფო საბჭოში საქართველოს საკითხის გამო, თანაბრად ხელმძღვანელობდა იმით, რომ ამ ნაბიჯს გარდაუვალად მოჰყვება რუსეთის სამხედრო და საფინანსო ძალების დიდი დაძაბვა, რომ იგი რუსეთის პოლიტიკის სრულიად ახალ სფეროდ გადაიქცევა.

მაგრამ ერთნი დაუფარავად აცხადებდნენ, რომ საქართველოს შემოერთებას უკავშირდება აზიის თაობაზე არსებული სანუკვარი გეგმების შესრულება, და მიესალმებოდნენ ამ შემოერთებას, მეორენი ასეთ ნაბიჯს მიიჩნევდნენ გადახვევად მოქალაქეობრივი კულტურის და შინაგანი გაუმჯობესების ამოცანებისაგან (აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით სწორედ გრ. კოჩუბეი, პრინციპული მოწინაალმდეგე, საქართველოს

თავის საპოლიტიკო ასპარეზზე. მართალია, ამჯერად სახელმწიფო ინტერესის თვალსაზრისმა გადასძლია გაუბედაობას, ერთი პირობა რომ დაეტყო მონარქს; და მისმა პიროვნულმა განწყობამ ვერ მოუტანა ხელშესახები შედეგები საქართველოს, სამაგიეროდ, რვა წლის შემდეგ, ფინელებმა სრულად იხილეს ნიშნები იმპერატორის კეთილგანწყობისა, რომელსაც სურდა, ჰქონოდა ზნეობრივი კავშირი თავის ახალ ქვეშევრდომებთან, და არა – მარტოოდენ მატერიალური, დაპყრობაზე (ამ შემთხვევაშიძ დამყარებული. ყველას მოეხსენება, რა მოუტანა ამან ფინეთს, და რაოდენ მკვეთრად განსხვავდებოდა მისი ბედი საქართველოს ბედისაგან.

უფრო მოგვიანებით, ვენის კონგრესის შემდეგ, ალექსანდრემ კონსტიტუცია უბოძა რუსულ პოლონეთს, და თავდაპირველად დაპყრობილ ქვეყანაში განაჩინა მმართველობის წარმომადგენლობითი წესი, რომელიც განზრახული ჰქონდა, შემდეგ მთელს იმპერიაში შემოეღო.

ფინელებისა და პოლონელებისადმი იმპერატორის დამოკიდებულებაში იოლად იცნობა ალექსანდრე, რომელმაც არ მოისურვა ტახტზე ასვლისას,



იყო გეგმები, საქართველოს ინკორპორაცია რომ განაპირობეს. შავი ზღვიდან რამდენიმე ნაბიჯზე, რუსეთი თავისით ვერ გაჩერდებოდა – იძულებით გაჩერება კი არ ძალუძდათ გამგებლებს, თავდავიწყებით რომ ჯიჯგნიდნენ ერთმანეთს. რუსეთის ძლიერების უახლოესი ინტერესებისათვის, და არსებითი ზიანის მიუყენებლად ქართველი ხალხისადმი, ასე თუ ისე რომ იყო ახლა შეკავშირებული ერთი კანონე-

ლოს სწორედ ასეთი შემოერთებისა, როგორიც მოხდა, განსაკუთრებული ენერგიით მოითხოვდა კნორრინგის გადაყენებას. კოჩუბეის მიაჩნდა, რომ რაკი საქართველო დაკავებულია, ამ შენაძენისაგან უნდა მიიღონ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად იქ უნდა ჰყავდეთ უნარიანი კაცი, და არა ისეთი, როგორიც არის კნორრინგი. იხ. ამონარიდი „არაოფიციალური კომიტეტის სხდომებიდან“ ბოგდანოვიჩის „იმპერატორ ალექსანდრე I-ის მეფობის ისტორიის“ I ტომის დანართში, გვ. 76-77. ეს იყო 1802 წ. 31 მარტის სხდომაზე. კნორრინგის დროს ჩადენილმა საზარელმა ბოროტგამოყენებამ გამოიწვია საქართველოში მის ნაცვლად თავად ციციშვილის დანიშვნაძ.

სახელმწიფო საბჭოში გრ. კოჩუბეის აზრი უმცირესობაში აღმოჩნდა; ისევე როგორც საერთოდ ამ ყაიდის ადამიანები უმცირესობას შეადგენდნენ რუსეთში, სულ მალე რომ იხილა სპერანსკის დაცემა და გადასახლება. ცდებოდნენ ისინი? ამას ვერ ვიტყვით. მაგრამ მათი მოწინაალმდეგენი, ეტყობა, უფრო ახლობელნი იყვნენ რუსეთის პოლიტიკის სულისკვეთებისათვის. საქართველოს საკითხის გადაწყვეტის ის მეთოდები, რომლებსაც საბჭოს სთავაზობდნენ მისი სრული შემოერთების მოწინააღმდეგენი, საეჭვო იყო, ოდესმე გამოეყენებინა რუსეთს. პირიქით, შემოერთების მომხრენი იმ ენაზე და იმ ტონით ლაპარაკობდნენ, როგორიც რუსეთს ძალზე ხშირად სმენოდა.

მიმდინარეობა, რომელმაც ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში გაიმარჯვა, თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა მოგვიანებითაც. როგორც ჩანს, მას სწყალობდა „ისტორია“, და „იმპერიალიზმისა“ და „სამოქალაქო“ მისწრაფებების შეუთავსებლობას კიდევ არაერთგზის უჩენია თავი.

იმპერატორი ალექსანდრე I საკმაოდ კეთილმოსურნედ ეკიდებოდა არარუსული ეროვნების ხალხებს, რომლებიც მისი მეფობისას გახდნენ რუსეთის ქვეშევრდომნი. ის გარემოება, რომ იმპერატორს არ სურდა ბოლომდე მიეყვანა საქართველოს ოკუპაცია და მოესპო მისთვის ყოველგვარი დამოუკიდებლობა, მკვიდრი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, სავსებით გამომდინარეობს მისი ხასიათიდან და მრწამსიდან, რომლითაც გამოვიდა იგი




დათანხმებოდა საქართველოს შემოერთებას, ვინაიდან ასეთი შემოერთება უსამართლოდ მიაჩნდა. იგივე კაცი, იგივე განწყობა; და თუ შედეგი ესოდენ განსხვავდება, ეს უწინარესად იმ ვითარების ბრალია, რომელშიც წყდებოდა საკითხები: „შინაურული“ ხერხები, რომლებიც საქართველოს მიმართ ვარგოდა, ვერ გამოდგებოდა, როცა ყველაფერი მთელი ევროპის დასანახად ხდებოდა.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ უნდა მივაკუთვნოთ კულტურების განსხვავებასაც: მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ქართველები სულაც არ იყვნენ უსიტყვონი, და გარკვეულ, საუკუნეობით გამომუშავებულ ნიადაგზე იდგნენ.

სწორედ საერთაშორისო მიმოქცევის პირობებში, ესოდენ განსხვავებული რომ იყო საქართველოსა და მისი ბედის თანაზიარი ევროპელი ამხანაგებისათვის, უნდა ვეძებოთ იმ, ერთი შეხედვით, უცნაური მოვლენის ახსნა, რომ მეტი ყურადღება დაეთმო დაპყრობილი შვედური პროვინციის და სამად გახლეჩილი პოლონეთის რუსული ნაწილის სურვილებს, ვინემ ერთმორწმუნე, ოდითგან მეგობარი ხალხის თხოვნას, რომელსაც, ზედაც, ძველთაძველი, თუმცა უკიდურესად ჩამორჩენილი სახელმწიფო ორგანიზაცია ჰქონდა.

- - - - - - - - - - - - - - - - -

ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, დანარჩენი ქართული სამფლობელოების – იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის – შემოერთება მხოლოდ დროის საქმე იყო. ჩვენ ვიცით, რაოდენ ფართობით, დასავლეთ საქართველოს სამფლობელოებმა თანდათან დაჰკარგეს ავტონომია, ნაწილობრივ კეთილნებობის გზით, ნაწილობრივ manu militari-ს მიზეზით, თან, ნურც კეთილშობილ ლითონთა „ავანგარდს“ დავუკარგავთ ამაგს.

- - - - - - - - - - - - - - -

კოლხეთის ოქროს საწმისმა, ბოლოს და ბოლოს, იპოვა თავისი პატრონი; იგი ელადიდან კი არ იყო, სკვითეთიდან მოვიდა. მაგრამ იქამდე სხვადასხვა ჯურისა და სხვადასხვა ჟამის ურიცხვ არგონავტებს ბლუჯა-ბლუჯა გაჰქონდათ ეს საწმისი, – და რაოდენ გაქუცული მოხვდა იგი რუსეთის ხელში! როგორ დაილია და გაცვდა იასონის დროიდან!

### დანართი.
### A.
### 1783 წლის ტრაქტატი
### 1783 წლის 24 ივლისის ხელშეკრულება, დადებული მის იმპერატორობის დიდებულებას (იმპ. ეკატერინე II-ეს) და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს შორის.

(Полное Собранiе Законовъ, ტ. XXI, № 15.835)

**სახელითა ღ-თსა ყოვლისა შემძლებელისა, ერთისა, სამწმიდაობასა შინა დიდებულისათა!**

ადრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა ქართულთამან ჰმსახურა მფარულობითა, შემწეობითა და შესავედრებლობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქვეშეშევრდომილ იყვნენ იგინი მეზობელთაგან თვსთა; მფარველობამან ყოვლისა რუსეთისა თვით-მპყრობელთაგან მეფეთა მიმართ საქართველოსათა, ნათესავთა და ყმათა მათთდამი მინიჭებულმან გამოიყუანა მოკიდებულება იგი უკანასკნელთა ამათ პირველთა მათგან, რომელიცა უფროსლა იჩუნების რუსეთის საიმპერტოროისა ტიტლოსაგან. აწ ბედნიერად მმეფობმან იმპ-ბისა მ-სისა დიდ-მან ცხად უყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხობითი თვისი კეთილნებობა და დიდ-სულობითი მსურულობაი კეთილშობილსათვს მათისა თვისითა ძლიერითა მეცადინეობისა მართვითა განთავისუფლებისათვს მათისა უღლისაგან მონებისა და საყვედრელისაგან ტყვედმიკდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს, და განაგრძლებს თვსსა მონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი, – ჰაზრთათა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მოლებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მილებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა და მენაცულითა თვსითა და ყოვლითა სამეფოითა და სამფლობელოითა თვისითა მონარხობითსა მფლობელობასა ქვეშე მისისა დიდებულებისასა და მაღალთა მემკვიდრეთა მისთა და მოსაყდრეთა უზენაესხელმწიფედ ალსარებითა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა მეფეთაზედა ქართულ..ლთა და კახეთისათა, ყ-დ უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაი მეგობრობითისა პირობისა ხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთკერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თვისითა და თვისთა მონაცუალეთათა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფობასა და მფარულობასა მისისა იმპ-ს დიდ-ისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოისა ქართლისა და კახეთისათა, და სხუათა სამფლობელოთა შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობითა და ნამდვილითა ხატითა შეკრულება თვისი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა; ხოლო მეორით კერძო დიდებულებაი იმპ-ბისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობით – თუ ვითარი აღმატებულებაი და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუენისაგან მისისა ხსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა. დასამტკიცებლად ესე ვითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპ-სა მის-მან სრულისა ძალისა მქონებლად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა ჰრომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მხედართა თვსთა ღენერალ ან შეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა განსწავლულისა და გაუსწავლებულისა, და სხუათა მრავალითა სამხედრო ძალთა, სენატორი, სახელმწიფოისა სამხედროისა კოლლეღიისა ვიცპრეზიდენტი, ასტრახნისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვოროსიისა მოადგილე ხელმწიფისა, ღენერალ-ატუტანტი თვსი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერღვარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკის პოდპოლკოვნიკი, უპირველესი მთავარი პალატისა სამჭურვლსა ხელოვნებისა, კავალერი ორდენთა: წმიდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამხედროსა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯუართა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმიდისა სტანისლავისა, შვეციისა სერაფიმთა, დაცკისა სპილოისა და ღოლსტინიისა წმიდისა ანნასი, – ესე ვითარითა ხელმწიფებითა, რათა არყოფისა მუნ თვსისა აღირჩიოსმცა ნებითა თვსითა სრულისა-ძალისა-მქონებლად ვისცა კეთილად განსაჯოს მან; რომელმან რომლისათვს აღირჩია და სრულითა-ძალითა მქონებელ ჰყო მაღალმსულელი უფალი მისის იმპ-ის დ-ს არმიის ღენერალ–პორუთჩიკი, ასტრახნის ღუბერნიის მხედრობისა მოკამანდე, მ-ს იმპ-ს დ-ს დეისტვიტელნი კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდისა ალექსანდრე ნევსკისა, სამხედროსა დიდის მოწამის და ძლევაშემოსილის გიორგისა და ღოლსტინიის წმიდის ანნას კავალერი პავლე სერგიევიჩი პოტემკინი.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-230, 242. 2008 წელი № 1, 2. 2009 წელი**



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

# აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა – 65

# ღვთისგან



## ფრიდონ, ძმაო და ბატონო!

**სამოცდახუთი წლისას გილოცავთ დაბადების დღეს.**

**სათქმელის მეტი რა მაქვს, მაგრამ დავრდომილიო, რომ იტყვიან, ისე ვარ – გწერ ამ ბარათს, როგორც მაჯა და გონება მერჩის.**

ჭაბუკობაშივე ვირწმუნე, რომ სიკეთე, რასაც წინაპარი თუ მშობელი გასწევს, მემკვიდრეობით მიეზღვება მის ჩამომავლობას.

რაც შენ სიკეთე გითესია და მიგიზღავს, შენს ოჯახს, ნაშიერსა და მოდგმას ერთი ათად დაუბრუნდება – გწამდეს.

ღმერთმა ინებოს ამ სურვილის აღსრულება და ისიც, რომ შენს ნაამაგართ ახსოვდეთ შენგან გაწეული სიკეთე, როგორც მე მეხსომება სამარემდე და სამარეს იქითაც.

იცოცხლე, იდღეგრძელე ქართველი ერის იმედად და შენი დიდი მამულიშვილობის ამაგად ჩვენი სამშობლოსთვის.

მარად შენი მადლიერი, შენგან სასიცოცხლოდ დავალებული

**ჭაბუა ამირეჯიბი.**
**თბილისი. 06.01.2009.**

# გამოჩენილი მეცნიერი-მედიკოსი

**დღეს, როდესაც აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დაბადების საიუბილეო თარიღს აღვნიშნავთ, მინდა გავიხსენო ჩვენი ურთიერთობის ადრეული პერიოდი, როდესაც მე დიდი ყოყმანის შემდეგ, მისი უწმიდესობის, ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის რჩევით დავთანხმდი წინადადებას, ჩემს თავზე ამეღო ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ფუნქციები, ბატონი ფრიდონი უყოყმანოდ დამთანხმდა, დაეკავებინა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, რისთვისაც მე დღემდე მისი მადლიერი ვარ; ეს იმხანად ხომ ჩემდამი დიდი თანადგომის გამოვლინება იყო...**

მეცნიერებათა აკადემიის მართვა იმ რთულ ვითარებაში, ჩვენი მეცნიერებისა და განათლების სისტემის განუწყვეტელი რეფორმირებისა და უსისტემო გარდაქმნების პერიოდში, უაღრესად მძიმე ამოცანას წარმოადგენდა და კომპეტენტური ხალხის თანადგომა ასეთ პირობებში ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის გადარჩენისათვის მეტად მნიშვნელოვანი დახმარება იყო.

დღეს აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა – გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-მედიკოსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი – დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიითა და ახალი ორიგინალური იდეებით აღსავსე – კვლავინდებურად განაგრძობს დაუღალავ საქმიანობას სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, სამეცნიერო და სამკურნალო ასპარეზზე...

ვუსურვებ ბატონ ფრიდონს ოჯახურ ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი მეცნიერების, ჩვენი ქვეყნის, მთელი ჩვენი ხალხის სასიკეთოდ.

**თამაზ გამყრელიძე**

# დიდი სპეციალისტის დიდი გარემო

**ეს იყო მოსკოვში, 30 წლის წინათ. სასტუმრო „მოსკოვის" ვესტიბიულში ბატონ ოთარ ფაცაციას შევხვდი. შეხვედრისთანავე მითხრა: რატომღაც არ მომწონხარ, უქეიფოდ მეჩვენებიო. მიზეზი ვუთხარი, მთელი ღამის უძილო ვარ მხრისა და ბეჭის ტკივილის გამო-მეთქი. ახლავე წავიდეთ ფრიდონ თოდუასთან, იგი ჩემი მეგობარია! წავედით.**

ბატონი ფრიდონი საავადმყოფოს გრძელ დერეფანში იდგა და გატაცებით საუბრობდა გარშემორტყმულ თეთრხალათიან თანამშრომლებთან. როცა ჩვენ დაგვინახა, რაღაც უთხრა მათ და ყველანი დაიშალნენ. თავად ჩვენკენ წამოვიდა და გვკითხა: რა გაგიჭირდათ, ქართველებო. ბატონმა ოთარ ფაცაციამ გაგვაცნო ერთმანეთი, მერე ჩვენი მოსვლის მიზეზიც უთხრა. ყოველგვარი პრობლემის გარეშე გამსინჯეს ისეთი სამედიცინო დანადგარით, რომელიც მაშინ ჩვენთვის უცხო იყო. გარემოცვაში, სადაც მე მოვხვდი, ამ უცნაურ სამედიცინო დანადგარს არ გავუკვირვებივარ, მე გამაოცა თანამშრომლების ბატონი ფრიდონისადმი დამოკიდებულებამ, პატივისცემამ. ეს იყო დიდი სპეციალისტის დიდი გარემო. სწორედ ეს დიდებული გარემოცვა მიატოვა ბატონმა ფრიდონმა მაშინ, როდესაც საქართველოს უჭირდა და თბილისში ჩამოვიდა. მართალია, საქართველო განთავისუფლდა საბჭოეთის იმპერიიდან, მაგრამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ცუდი ვითარება იყო.

ბატონმა ფრიდონმა რკინიგზის არც თუ ისე კეთილმოწყობილ საავადმყოფოში გახსნა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრი, რაც დიდი წვალების შედეგად მოხდა. უმადურობა და შური ხელს უშლიდა, მრავალჯერ დაარბიეს კიდეც, მაგრამ იგი ყველაფერს იტანდა იმიტომ, რომ იცოდა, წინ გამარჯვება ელოდა, რადგან ყველაფერი ადამიანების კეთილდღეობისთვის კეთდებოდა.

დღეს აქ, ამ საავადმყოფოში, დგას უაღრესად თანამედროვე, ძვირადღირებული სამედიცინო დანადგარები და მაღალკვალიფიციურ ექიმთა გუნდი მსახურობს. აქ ბევრი რამ აშენდა, ახალი, საოცრად ლამაზი, თანამედროვე მისაღები დარბაზი და კაბინეტები. დღეს აქ ყველაფერი ემსახურება ადამიანების ჯანმრთელობას. ეს არის ბატონი ფრიდონის გამარჯვება, რომელსაც იგი წლების მანძილზე ქმნიდა.

დღეს ბატონი ფრიდონი 65 წლისაა. მისი მოღვაწეობა და მაღალი პროფესიონალიზმი მრავალი სახელმწიფო პრემიითა და საერთაშორისო ჯილდოთია აღნიშნული. ის აგრეთვე არჩეულია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი ფრიდონის საიუბილეო დღეები ახალ წელს ემთხვევა, მინდა ვუსურვო მას და მის ოჯახს ბედნიერი მომავალი. ბატონ ფრიდონს ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რადგან იგი თავადაა გარანტი სხვათა ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისა.

**მერაბ ბერძენიშვილი**

# ქველმოქმედ წინაპრების ბეწვით (ქველაჟაც ლოჩმაჟეჟით ჟეჟლოთ)

**მაღალი პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა – ესაა უპირველესი მახასიათებელი ადამიანისთვის, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სიკეთე უკეთებია და მთელი საქმიანობა ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურისთვის მიუძღვნია.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო და საზოგადოებრივი დაწესებულების წევრი, ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ფრიდონ თოდუა 65 წლისა შესრულდა. ეს დრო ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა, ადამიანისათვის კი მნიშვნელოვანი პერიოდია. მით უმეტეს, ფრიდონ თოდუასათვის, რომელმაც თავისი პროფესიული საქმიანობა ადრეული ყმაწვილობიდან დაიწყო. და ამ ახალგაზრდა კაცმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა სამედიცინო სამყაროში. იგი ვიშნევსკის სახელგანთქმულ კლინიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა: ლაბორატორიას, რომელიც ადამიანის მრავალმხრივ გამოკვლევას ეწეოდა და დიაგნოზს სვამდა.

ხშირად ვიხსენებ: 1972 წლის აპრილში ჩემი მასწავლებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას სანახავად ჩავედი მოსკოვში. იგი სწორედ ვიშნევსკის კლინიკაში გადიოდა მკურნალობას. ბატონმა შოთამ დიდი მადლიერებითა და პატივისცემით ახსენა ფრიდონ თოდუა. მეცნიერს უხაროდა, რომ ზუგდიდელი ბიჭი ესოდენ წარმატებული იყო უდიდეს მეგაპოლისში – მოსკოვში. სწორედ იქ გავიცანი ბატონი ფრიდონი. იგი მაშინ 27-28 წლის თუ იქნებოდა. მას შემდეგ თვალყურს ვადევნებ და მახარებს მისი წარმატებები მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. როცა 1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღვადგინეთ სამედიცინო ფაკულტეტი, ერთ-ერთი პირველი სწორედ ფრიდონ თოდუა იყო, რომელიც რადიოლოგიის კათედრის გამგედ მოვიწვიეთ.

ბატონი ფრიდონი ძველი ტრადიციული ექიმების კოჰორტის საქმის გამგრძელებელია. იგი გხიბლავს თავისი ყურადღებით, სითბოთი, სიტყვის კაცობით, მეტად მნიშვნელოვანი რეალური საქმეების კეთებით.

მილოცვასთან ერთად 65 წლის ფრიდონ თოდუას გულწრფელად მინდა ვუსურვო ახალი გამარჯვებები. დაე, მომავალი წარმატებები იყოს ბატონი ფრიდონის ცხოვრების მარადიული თანამგზავრი.

**როინ მეტრეველი,**
**აკადემიკოსი**

# ხელდასხმული

## თოდუას ინსტიტუტი — უპირობო ლიდერი

**აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მიერ დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი კარგა ხანია აღიარებულია ქვეყნის სამედიცინო ცენტრთა შორის უპირობო ლიდერად, მაგრამ ასეთი სრული სახელწოდებით იგი ცნობილია სწავლულთა და მედიკოსთა მხოლოდ ვიწრო წრისთვის.** ჩვენი სამედიცინო საზოგადოებრიობის საამაყოდ ეს ინსტიტუტი წარმოჩენილია ხალხის მიერ წოდებული თოდუას ცენტრის ან თოდუას კლინიკის სახელით. დღეს მის მრავალდარგობრივ და მრავალეფექტურ საქმიანობას უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში კლინიკური დარგების ყველა თვალსაჩინო მიღწევა და ხშირად საერთაშორისო რეზონანსის მეცნიერული წარმატებაც. თავის განვითარების ეტაპებით და ქვეყნის ჯანდაცვაში მოპოვებული ადგილით თოდუას ინსტიტუტი მსოფლიოში სახელგანთქმულ მეიოების კლინიკის ანალოგიას წარმოადგენს.

მას ვინც ხელს მოჰკიდებს ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შედგენას, უეჭველად მოუწევს დეფინიცია „თოდუა“-ს განმარტება, რამეთუ ფრიდონ თოდუას სახელმა შეიძლება ეპონიმის მნიშვნელობა შეიძინოს – მუდმივად ჟღერს: „თოდუაში დაადგინეს“, „თოდუაში განიკურნა“, „თოდუაში მოთავსდა“, „თოდუაში დაიბეჭდა“, „თოდუაში მოხსენდა“. ამ სტრიქონების ავტორი მოწმე გახლდათ, თუ რა პასუხი გასცა ფრიდონ თოდუამ მოსკოველ ჟურნალისტს მის შესახებ ნარკვევის დაწერის უფლების თხოვნაზე: „Оставьте Тодуа, его больше нет, есть Институт. Напишите лучше об его достижениях, об его будущем, об его молодежи“.

დრომ დაამტკიცა, რომ 65 წლის ასაკს მიღწეულმა ჭარმაგმა ექიმმა, გამოჩენილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ფრიდონ თოდუამ შესაძლებელი გახადა მისი სახელის „თოდუას ინსტიტუტის“ სახელთან სემანტიკური შერწყმა და ამით მონიშნა წარუშლელი კვალი ქართული მედიცინის ისტორიაში.

ღმერთმა დღეგრძელი და ძლევამოსილი გვიმყოფოს თოდუას ინსტიტუტი!

**რომან შაქარიშვილი**
**6.01.2009**

## მან საქართველოში მედიცინა სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა

**აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა არის მრავალი საერთაშორისო რადიოლოგიურ-ქირურგიული, გასტროენტეროლოგიური სამეცნიერო საზოგადოების და აკადემიის წევრი.**

ბატონი ფრიდონი ეწევა არამარტო სამედიცინო, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი საზოგადოებრივი, ორგანიზატორული საქმიანობაც.

მკვლევარის ტალანტისა და სიახლის მაძიებელი კლინიცისტის მონაცემების შერწყმამ, უდავოდ, შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო: ბატონი ფრიდონის მიერ ჩატარებულმა მრავალმა გამოკვლევამ დასაბამი მისცა რადიოლოგიისა და ქირურგიის ახალი, პერსპექტიული მიმართულებების განვითარებას.

ძნელად მოიძებნება საქართველოში საერთაშორისო მასშტაბით აგრერიგად აღიარებული და დაფასებული პიროვნება.

გვჯერა, რომ ბატონი ფრიდონი თავის 65 წლის იუბილეს ხვდება ჩვეული შემოქმედებითი ენერგიითა და გეგმებით აღსავსე. მისი ენერგია და საქმისადმი ერთგულება ჭეშმარიტად სამაგალითოა მედიკოსთა ახალგაზრდა თაობებისთვის.

ჩვენ სულითა და გულით ვუერთდებით ბატონი ფრიდონის კოლეგებს, თანამშრომლებსა და მოწაფეებს, ვულოცავთ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ახალი გაბედული იდეების განხორციელებას ქართული მედიცინის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისთვის.

**ნოდარ ყიფშიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.**

**ფირმა „სიმენსის“ პრეზიდენტი ჰაინრიხ ფონ პიერერი სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში**



## სულ ასე სიკეთით...

**დიდად სასიამოვნოა, რომ საშუალება გვეძლევა, დაბადების 65 წლისთავი მივულოცოთ სახელგანთქმულ მედიკოსს და მამულიშვილს, ბატონ ფრიდონ თოდუას.**

მისი სიკეთე, მისი გულისხმიერება ჩვენს ოჯახსაც გადმოსწვდა, კერძოდ, ოთარს, როდესაც მას მალების ურთულესი ოპერაცია გაუკეთა და, თანაც, უსასყიდლოდ (ალბათ, რამდენს შეეწია ასე).

ღმერთის ნებით, ერთი 65-ისა კიდევ მოიყარეთ, ბატონო ფრიდონ და სულ ასე სიკეთე გინათებდეთ გზა-სავალს...

დიდი მადლიერებით,

**გურანდა გაბუნია,**
**ოთარ მეღვინეთუხუცესი.**

### ◉ ფასები ჩვენი მღელვარებისა

*ნედლი ნავთობის ფასი – ეს ის თემაა, რომელზეც დიდადაა დამოკიდებული არა მარტო ცალკეულ მოქალაქეთა, არამედ მთლიანად ქვეყნების კეთილდღეობა, ფინანსური წარმატება თუ კრახი. გამონაკლისი, ცხადია, არც საქართველოა, ამდენად სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც აღნიშნული საკითხისადმი ვიჩენთ. ბოლო დროს მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნედლი ნავთობის ფასის უპრეცედენტო, თითქმის სამჯერადმა კლებამ და საქართველოს შიდა ბაზარზე ბენზინის ფასმა, რაზეც დიდადაა დამოკიდებული გადაზიდვებისა და, შესაბამისად, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო პროდუქციის ფასი, დამატებითი კითხვები გაგვიჩინა, რომლებითაც საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარეს ვანო მთვრალაშვილს მივმართეთ.*

## ნედლი ნავთობის საგრძნობლად გაიაფების მიუხედავად, რატომ ღირს საწვავი ასე ძვირი?

### ჩვენი გაზეთის მკითხველთა ამ შეკითხვას პროფესიონალი უპასუხებს

– ამ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, – თქვა მან, – მსოფლიოს ბაზრებზე ბარელი ნედლი ნავთობის ფასი მართლაც უპრეცედენტოდ შემცირდა. თუ შარშან ივლისის შუა რიცხვებში ერთი ბარელი თითქმის 148 დოლარი ღირდა, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე მისი ფასი უკვე 35-40 დოლარის ფარგლებში მერყეობდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ჩვენი ადგილობრივი მომხმარებლებისა და მასმედიის წარმომადგენელთა კითხვა: **თუკი ნედლი ნავთობის რეალური საბაზრო ფასი თითქმის სამჯერ შემცირდა, რატომ ასევე არ შემცირდა შიდა ბაზარზე საწვავის, კერძოდ, ბენზინის ფასი?** (აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ როგორც ბენზინის, ასევე დიზელის საწვავის ფასწარმოქმნის მექანიზმები სავსებით ანალოგიურია).

აღსანიშნავია, რომ **საქართველოში ნავთობპროდუქტები ეგრეთ წოდებული „პლაცის“ ფასებით შემოდის. „პლაცი“ ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომლის ექსპერტები მსოფლიო ბაზარზე ამა თუ იმ სახეობის ნავთობპროდუქტის ფასს ყოველდღიურად ადგენენ და შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის ნავთობის კომპანიები, მათ შორის, ცხადია, ქართულიც, სხვადასხვა ქვეყნებში, ვთქვათ, აზერბაიჯანში, რუმინეთში, იტალიაში თუ სხვაგან, საწვავს სწორედ ამ ფასად ყიდულობენ.**

ეს რაც შეეხება იმას, თუ რა ფასად ყიდულობენ ქართული კომპანიები საწვავს საზღვარგარეთ, ვინაიდან საკუთარი ნავთობი საქართველოს, ფაქტობრივად, არა აქვს. **შიდა ბაზარზე ბენზინის ფასზე საუბრისას, ბატონმა ვანო მთვრალაშვილმა, კერძოდ, თქვა, რომ ეს ფასი ბოლო დროს მნიშვნელოვნადაა შემცირებული, რის დასტურად კონკრეტული ციფრები დაასახელა. მაგალითად, აზერბაიჯანიდან შემოტანილი „რეგულარის“ ტიპის 91 ოქტანური რიცხვის მქონე ლიტრი ბენზინი ავტოგასამართ სადგურებში 0,9-1,0 ლარის ფარგლებში ღირს. ამასთან, შარშან ივლისში მისი ფასი 1,8 ლარის ნიშნულზე იყო. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „რეგულარი- 91“ მარკის ბენზინი საქართველოს შიდა ბაზარზე ყველაზე მეტი რაოდენობით მოიხმარება და ვინაიდან ქვეყნის ავტოპარკის აბსოლუტურ უმრავლესობას (50 პროცენტზე მეტი) მოძველებული ავტომანქანები წარმოადგენენ, ამ მარკის საწვავსაც სწორედ ისინი მოიხმარენ. ამდენად, ამ კატეგორიის საწვავი ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის ასი პროცენტით გაიაფდა.**

– საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ მასშტაბის კლება საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის არც ერთ სეგმენტში არ მომხდარა, – აღნიშნა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ, რომელმაც შემდგომ კითხვა თავადვე დასვა და თვითონვე უპასუხა:

**– საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს ციფრები და რამდენად შეესაბამება ბენზინის ამჟამინდელი ფასი ნედლი ნავთობის ფასის რეალურ კლებას?** საკითხს ნათელი რომ მოვფინოთ, რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს მოვიშველიებ, რომელთა გაცნობის შემდეგ მკითხველიც და მომხმარებელიც საქმის არსში უკეთ გაერკვევა.

**ერთი ტონა ბენზინის საერთაშორისო ფასი, რომელიც საქართველოში სადღეისოდ შემოაქვთ, 350 დოლარია. ამ ფასს ემატება 250 ლარი აქციზის გადასახადი, რა თანხაც, ახლანდელი კურსით დოლარებით რომ გამოვსახოთ, 150 დოლარია. გარდა ამისა, იმპორტიორი იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ), რომელიც 18 პროცენტს შეადგენს და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, 90 დოლარია.** აქვე იმასაც დავსძენ, რომ დოლარებით ყველაფერს იმიტომ ვანგარიშობთ, რომ შესყიდულ ნავთობპროდუქტებში ანგარიშსწორება დოლარებით ხდება, პროდუქციის თვითღირებულებაც დოლარებით დგინდება და მხოლოდ შემდგომ გადაგვყავს ლარებში იმდღევანდელი დადგენილი კურსით. ეს დადგენილი პრაქტიკაა. **გარდა ამისა, აღნიშნულ დაბეგვრას სხვადასხვა სახეობის დანახარჯი ემატება, ესაა, კერძოდ, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირება, ბაზებში შენახვის და ელექტროენერგიის ხარჯები და სხვა.**

**ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვღებულობთ, რომ ერთი ტონა, ანუ 1280 ლიტრი ბენზინის თვითღირებულებაა დაახლოებით 600 დოლარი, შესაბამისად, ერთი ლიტრის თვითღირებულებაა 0,47 დოლარი, ხოლო ამას სადღეისოდ დადგენილი კურსის გათვალისწინებით ლარებით თუ ვიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ ერთი ლიტრი ბენზინის თვითღირებულებაა 0,80 ლარი. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ესაა აზერბაიჯანული ბენზინის ფასი, რომლის შემოტანა ქართველ იმპორტიორებს ყველაზე იაფი უჯდება, ელემენტარული სიახლოვის გამო.**

ახლა მინდა დავსვა კითხვა: როცა ერთი ლიტრი ყველაზე იაფიანი აზერბაიჯანული ბენზინის თვითღირებულება 80 თეთრია, განა 09-1,00 ლარად მისი გაყიდვა უმართებულოა? ელემენტარული მათემატიკაა, **თუკი ამ შემთხვევაში მოგების ნორმას განვსაზღვრავთ, იგი 10-12 პროცენტის ფარგლებშია.**

იხ. 9 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*საქართველო – უკვე მერამდენედ უკანასკნელი წლების განმავლობაში – დიდი ცვლილებების საზღვარზეა. მიხეილ სააკაშვილმა მოახდინა თავისი თავის დისკრედიტაცია არა მხოლოდ თავისი თანამემამულეების, არამედ მფარველი ამერიკელების თვალშიც. და ეს, როგორც ჩანს, შეუქცევადია. თბილისში დაბრუნდა გაეროსთან საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელი და ოპოზიციის მომავალი ლიდერი ირაკლი ალასანია. მის შესახებ უკვე ლაპარაკობენ, როგორც პოტენციურ პრეზიდენტზე. თითქოსდა, ევროპაც და ამერიკაც მზად არიან, ჯვარი დაუსვან „ვარდების რევოლუციის" გმირს და არჩევანი გააკეთონ ახალ ფავორიტზე.*

რუსეთმა რა ჰქნას? რას მოგვიტანს ჩვენ პოლიტიკური არენიდან მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილის წასვლა? საკითხი არა მხოლოდ მარტივია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ერთი მხრივ, სააკაშვილი დღეს – რუსეთის მთავარი ანტაგონისტია არა მხოლოდ დსთ-ში, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, მსოფლიოშიც მთავარი გამღიზიანებელი. ვიდრე იგი ხელისუფლების სათავეშია, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ მოსკოვსა და თბილისს შეეძლებათ იქონიონ ერთმანეთთან არა მხოლოდ კეთილმეზობლური, არამედ თუნდაც უბრალოდ ნეიტრალური, კორექტული ურთიერთობანი. გამოდის, რომ, რაც მალე ჩამოაგდებენ მას, მით უკეთესია?

მაგრამ არის მეორე მხარეც. ვიყოთ რეალისტები: მათ შორის, ვინც შეიძლება მოვიდეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში, არ არის არც ერთი პრორუსული პოლიტიკოსი. ქართული ოპოზიციის ყველა ლიდერი უკლებლივ ორიენტირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე, თითქმის ყველა ისწრაფვის ნატოსკენ. დაბოლოს, არც ერთი პოლიტიკოსი ქვეყანაში არ დათანხმდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფას. აქ ქართულ საზოგადოებაში აბსოლუტური, ურყევი კონსენსუსია.

გამოდის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში – ვინც უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი – ჩვენ განწირული ვართ უმკაცრესი კონფრონტაციისთვის. და რახან ასეა, ჩნდება კრამოლური აზრი: იქნებ, სააკაშვილი არ არის ყველაზე ცუდი ვარიანტი ჩვენთვის? ის მეტად ხელსაყრელი ოპონენტია. „მოგვიშვირა თავი" ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო.

ომით სამხრეთ ოსეთში სააკაშვილმა უჩვენა დასავლეთს, რომ იგი უპრინციპო და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსია. აგერ ჰალსტუხიც კი დაღეჭა პირდაპირ ეთერში. ვინ უწოდებს ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს ადეკვატურ პიროვნებას, ვინ აღიქვამს მას სერიოზულად? ისედაც მის მიერ დამყარებული რეჟიმი უსასრულოდ შორსაა დემოკრატიისგან, რისი სახელითაც სრულდებოდა „ვარდების რევოლუცია". ეს კი რუსულ პროპაგანდას აძლევს ურიცხვ არგუმენტს ნებისმიერ დავაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ჩვენთვის აქტუალურია პრინციპი „რაც უარესია – მით უკეთესი". ამგვარი ლოგიკა ჰქონდა ზოგიერთ რუს პოლიტოლოგს, რომლებიც ამერიკის არჩევნების დროს „გულშემატკივრობდნენ" ჯონ მაკქეინს – რათა იგი გამხდარიყო ჯორჯ ბუშის საქმის ღირსეული გამგრძელებელი და უკვე საბოლოოდ შეეყვანა შეერთებული შტატები ჩიხში, წაეჩხუბებინა მთელ მსოფლიოსთან.

ან, როდესაც პოლონეთში პრეზიდენტის პოსტზე სამი წლის წინათ იბრძოდნენ რესპექტაბელური დონალდ ტუსკი და მოჩურჩუტო ნაციონალისტი ლეხ კაჩინსკი. მახსოვს, მაშინ „იზვესტიაში" დავწერე კომენტარი სათაურით „გამარჯვებას გილოცავთ, პან კაჩინსკი". აზრი ასეთი იყო: ასეთი ოდიოზური პრეზიდენტი უსათუოდ მოახდენს პოლონეთის დისკრედიტაციას, შეასუსტებს ევროკავშირში ჩვენი ცნობილი გეოპოლიტიკური ოპონენტის გავლენას. ასეც მოხდა. დღეს სიტყვების დროს „პოლონეთი, ვარშავა, კაჩინსკი" მოსაუბრეები გერმანიიდან, საფრანგეთიდან ან იტალიიდან ძალიან ხშირად სკეპტიკურად იცინიან, ანდა თვალშისაცემად შლიან ხელებს. სამი წლის წინათ კი ხომ ასეთი რამის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა.

მაგრამ საქართველო რუსი ადამიანისთვის პოლონეთი როდია. უპონელებოდ ჩვენ როგორმე გავძლებთ, ისევე, როგორც ისინი უჩვენოდ. აი, უქართველებოდ კი, ქართველებთან დავაში ცხოვრება მჭმუნვარეა, მოსაწყენია, არაკომფორტულია. გვინდა თუ არა ჩვენ, ისინი რუსეთის სამყაროს ნაწილი არიან. თავიანთი სადღეგრძელოებით, სიმღერებით, გულუხვობით, ტრაბახით, სიმხურვალით, ბავშვური მაქსიმალიზმითა და დიდი სულით.

და არ შემეძლო, ალბათ, დამეწერა „გამარჯვებას გისურვებთ, მიხეილ ნიკოლოზის ძევ"– იმ კაცის წარმატების სიხარულით, რომელმაც ასეთი მკაცრი გამოცდა მოუწყო ხალხს, რომელიც მე მიყვარს.

## შეგვეცოდოს თუ არა სააკაშვილი



ქართველები უცხოები არ არიან. „რაც უარესია – მით უკეთესია" – ეს პრინციპი მათთვის არაა. ვლადიმერ პუტინმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ კონფლიქტი საქართველოსთან „სამოქალაქო ომის ელემენტებს" ატარებს. ახლა როგორ ელემენტებს! მახსოვს, რომ მალე აგვისტოს ომის შემდეგ ვკითხულობდი ერთ-ერთი ბრძოლის აღწერას: საფარიდან გამოვარდა ქართველი ჯარისკაცი, ასწია ავტომატი, მაგრამ ჩვენმა ოფიცერმა დაასწრო და მოკლა იგი.

და ჩემი თავი დავიჭირე ამ აზრში: ეს „მტრის ჯარისკაცი" ჩემთვის ისეთივე ჩემია. მე ხომ შეიძლებოდა ვმჯდარიყავი მის მშობლებთან ერთად ერთ კომპანიაში თბილისში. ან მასთან ერთად მესვა საფერავი მეზობელ მაგიდასთან რესტორანში. უცნაურია, მაგრამ ორი ჩეჩნური კამპანიის დროს ერთხელაც არ მომსვლია ასეთი აზრი – არ იყო ეს ომები ჩემთვის სამოქალაქო.

არაფრით არ გამოდის საქართველოზე ფიქრი განყენებულად, მისი მოქცევა სტანდარტულ გეოპოლიტიკურ სქემაში. ოდიოზური, არაადეკვატური პრეზიდენტი ხელისუფლების სათავეში თბილისში – ასეთი სცენარი ხელს აძლევს რუსეთს, თუ განზრახული გვაქვს საქართველოსთან და ქართველებთან მტრობა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში. მაგრამ ჩვენ ჩვენი თავისთვის ამისი მიცემის უფლება არა გვაქვს. არც ჩვენ, არც იმათ. რუსეთში ცხოვრობს მილიონზე მეტი ქართველი – ვინმე ფიქრობდა იმ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, მოწყვეტილი არიან სამშობლოს? ასობით ათას რუსს მეგობრები ჰყავს საქართველოში. ჩვენ რა კვლავ კიევის გავლით უნდა ჩავფრინდეთ იქ, ანდა შეხვედრები დავნიშნოთ ერევანში? საქართველოს ახალი პრეზიდენტი ორიენტირებული იქნება შეერთებულ შტატებზე. უახლოეს მომავალში ასეთი ალტერნატივა, როგორც ჩანს, არ არის. ბუნებრივია, იგი იოცნებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე – წინააღმდეგ შემთხვევაში ის ქართველი არ იქნება. რუსეთი არ მოსთხოვს მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრეს შეუძლებელს. მას მასთან ექნება, ალბათ, კიდევ ერთი „დაბეჯითებული რეკომენდაცია" – არ წამოიწყოს ახალი ომი, არაფერ სახარბიელოს ის არ მოუტანს საქართველოს. და სასურველია, რასაკვირველია, ისიც, რომ არ მოვახდინოთ მოსკოვის პროვოცირება ყოველ ნაბიჯზე, არ გადავაქციოთ „ფერადი რევოლუციები" თავსმოხვეულ იდეად.

აი ასეთი „პროგრამა-მინიმუმი" დასაწყისისათვის. შემდეგ კი – დიდი ხნის განმავლობაში და ტკივილით აღვადგენთ ურთიერთობას. ალტერნატივა მაინც არ არის – ჩვენ ურთმანეთოდ არ ვარგივართ.

და, ადრე თუ გვიან, უნდა გაიმარჯვოს „გენეტიკურმა ინსტინქტმა". ეს ტერმინი პირველად მოვისმინე ორი წლის წინათ თბილისში, როდესაც ერთ-ერთი მასპინძელი ამბობდა სადღეგრძელოს. რა არის ეს ინსტინქტი? ეს არის, როდესაც რუსი კაცი უსმენს სიმღერა „თბილისოს" – თითქოსდა უცხო ქვეყანაზე, უცხო ქალაქზე – და თვალები ცრემლებით ევსება. თითქოსდა რატომ?

**მაქსიმ იუსინი**

ИЗВЕСТИЯ

◉ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება

# აირჩიეს პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა



**გაიმართა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების სხდომა.**

საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ისაუბრა, თუ რა ტენდენციებს ანვითარებს ეს საზოგადოება საქართველოს მეგობარ, პარტნიორ სახელმწიფო ისრაელში მიმდინარე პროცესებთან დამოკიდებულებაში, რამდენად გამოხატავდა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ მეგობრობის საზოგადოება ცდილობდა საქართველოში ისრაელის საელჩოსთან თანამშრომლობით განეხორციელებინა თავისი ამოცანები. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ თანამშრომლობდა ჯოინთისა და სოხნუთის საქართველოს წარმომადგენლობასთან, აღინიშნებოდა ისრაელის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დღესასწაულები.

საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა ისაუბრა ბოლო წლებში საზოგადოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ეს ღონისძიებები უმეტესწილად იმართებოდა ისრაელის საელჩოსთან ერთად. რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის აქტიური მონაწილეობით.

შეიქმნა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა: **როინ მეტრეველი** – პრეზიდენტი, **გურამ ბათიაშვილი** – ვიცე-პრეზიდენტი, **მალხაზ ნანიკაშვილი** – მდივანი, პრეზიდიუმის წევრები: საქართველოს ვიცე-პრემიერი **გია ბარამიძე,** სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში **თემურ იაკობაშვილი,** საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველო-ისრაელის საპარლამენტო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ფრიდონ თოდუა,** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი **ლაშა ჟვანია,** ებრაისტი **თამარ მახარაშვილი**, პოეტი, მთარგმნელი **ჯემალ აჯიაშვილი,** ხელოვნებათმცოდნე **ლელა წიწუაშვილი,** მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილი,** ბანკ რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლაშა პაპაშვილი,** ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი **გივი ღამბაშიძე,** საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების პრეზიდენტი, პროფესორი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი,** თბილისის სათემო ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **რეზო შათაშვილი.**

დაისახა სამომავლო ღონისძიებები.

**ანა წიწილაშვილი**

◉ გვეხმაურებიან

# ისტორიის არაიკლიკანტური შეგონება

**მინდა ასოციაციურად გამოვეხმაურო „საქართველოს რესპუბლიკის" 31 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიას „დამარცხ(ჯვ)ება და იკლიკანტური შეგონება".**

აკადემიკოსი ტარლე ბოროდინოს ისტორიულ ბრძოლას ასე აფასებს: **„ფრანგები გამარჯვების ღირსი იყვნენ, მაგრამ რუსები არ იყვნენ დამარცხების ღირსნიო".**

თავად ნაპოლეონმა კი ჩვეული სიბრძნითა და გულახდილობით აღიარა: **„კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ჩემი არმიისგან აღარაფერი დარჩებაო".**

დღეს, როცა არც პუტინია კუტუზოვი, არც სააკაშვილია ნაპოლეონი და მეორე ტარლეც არ ჩანს, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებს ერთმანეთში ვერ გაუყვიათ აგვისტოს ომში „წარმატება". ორივე მხარე ამტკიცებს, „გავიმარჯვეო" და ისე ტრაბახობენ, თითქოს ამ „ხუთდღიან კონფლიქტს" შედეგად არ მოჰყოლოდეს ასობით დაჭრილ-დახოცილი ადამიანი, გაპარტახებული სოფლები, ათასობით ლტოლვილი და მილიარდებით შეფასებული ეკონომიკური ზარალი.

განსაკუთრებით ამერიკის მიერ საქართველოში დასმული პ-„რეზიდენტი", რომელმაც ქვეყანას ისტორიული რეგიონები დაუკარგა, გამოირჩევა ტრაბახითა და ზარზეიმით.

არადა, ჩვენი საქმე ზუსტად ისეა, როგორც ნაპოლეონმა იწინასწარმეტყველა, ანუ: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვ**ება" და „ოდესღაც დიდი" საქართველოსგან აღარაფერი დარჩება.**

**ომარ ჩიტაია**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

**ა ar მოტყუვდეთ!**

# ხალხის ყვლეფის ოსტატები

## ვინ იხდის მრიცხველის შემოწმების საფასურს?

***ეს კითხვა მას შემდეგ გახდა აქტუალური, შეიძლება ითქვას, სკანდალურიც კი, რაც გაზის მრიცხველის შეცვლასთან დაკავშირებით ბუნებრივი აირის მიმწოდებელთა და მომხმარებელთა შორის მწვავე გაუგებრობა გაჩნდა. დედაქალაქის მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილებისა და აღშფოთების საბაბი გახდა კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ქმედება, რომლის მუშაკებიც უცერემონიოდ შედიან ოჯახებში, ბინის პატრონისგან მოითხოვენ გაზის მრიცხველების მოხსნას, შესამოწმებლად წაღებას და ამისთვის დაწესებული საფასურის გადახდას. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში უამრავი ზარი და საჩივარი შემოდის, მოქალაქეები გვთხოვენ, განვუმარტოთ, რამდენად კანონიერია „ყაზტრანსგაზის“ მოქმედება?***

***სიმართლის გასარკვევად კომენტარი ვთხოვეთ დამოუკიდებელ ექსპერტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს ანზორ მესხიშვილს.***

– მათი მოქმედება არც იურიდიულად არის გამართლებული და არც მორალურად. არაადამიანურია ამ შუა ზამთარში მოქალაქეები აიძულო, მოხსნან მრიცხველი და გაუთბობლად დატოვონ ბინები, სადაც არც თუ იშვიათად ცხოვრობენ მარტოხელა პენსიონერები, ავადმყოფები და ჩვილბავშვიანები. თუ ამის გაკეთება აუცილებელი იყო, ეს უნდა მომხდარიყო გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში. რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, არსებობს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის №10 დადგენილებით დამტკიცებული **„ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“**, სადაც გარკვევით არის ჩაწერილი, რომ **დაინტერესებული პირი ვალდებულია, მომხმარებელს წინასწარ აცნობოს დაგეგმილი შემოწმების შესახებ.**

– ბატონო ანზორ, ამის მიუხედავად, ვითარებას სულ სხვაგვარად გვიხატავს გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული წერილის „პასუხისმგებლობა ეკისრება მფლობელს“ (24-30 ნოემბრის ნომერიძ ავტორი, თუმცა მას ავტორი რატომღაც არ ჰყავს. ინკოგნიტო ავტორი უკმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ გაზის მრიცხველების შეცვლასთან დაკავშირებით „ყაზტრანსგაზს“ თავს დაატყდა უამრავი საჩივარი, სადაც ისინი კომპანიას ადანაშაულებენ კანონის დარღვევაში. უფრო მეტიც, მომხმარებლები იშველიებენ არასასურველ ნორმატიულ აქტებს, რომელთა თანახმადაც „ყაზტრანსგაზი“ თითქოსდა ვალდებულია, თავისი ხარჯებით განახორციელოს მრიცხველების შეცვლა“. ამის თაობაზე რას გვეტყოდით.

**– უსინდისოდ იქცევა სტატიის ავტორი, როცა მომხმარებლებს უსამართლოდ ედავება, საკუთარი ვინაობის გამხელა კი რატომღაც არ სურს. მას ალბათ ჰგონია, რომ თბილისელები სემეკის ზემოთ ნახსენები დადგენილებით დამტკიცებულ გაზის მოხმარების წესებს არ იცნობენ და მათთვის თვალებში ნაცრის შეყრას ცდილობს. სხვა საკითხია, რომ თავად დადგენილება ტენდენციურია და გაზის მიმწოდებლის ინტერესებს იცავს, მაგრამ ის, რაც დადგენილია და მოქმედებაშია, ინკოგნიტო ავტორი ამის გამოყენებასაც რომ „ყაზტრანსგაზის“ სასარგებლოდ ლამობს, ამას რაღა დავარქვათ?**

– მაგრამ იმავე სტატიაში აღნიშნულია, რომ „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაზგამანაწილებელ კომპანიას უფლება აქვს, გაზის უკანონო მოხმარების შემთხვევაში, შეაჩეროს მისი მიწოდება, შეადგინოს ადმინისტრაციული ოქმი და სასამართლოში გაგზავნოს. გამოდის, რომ დადგენილება უფლებას აძლევს მომწოდებელს, მომხმარებელს შეუწყვიტოს გაზის მიწოდება. ამაზე რა პასუხი გექნებათ?

**– საქმე ის არის, რომ დადგენილების ერთი მუხლით და ერთი პუნქტით დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. ამაში უმალ დავრწმუნდებით, თუ იმავე დადგენილების მე-9 მუხლის პირველ პუნქტში ჩავიხედავთ, სადაც აღნიშნულია, რომ „ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გაზის მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, მრიცხველის ბრჯენების დაზიანება, ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის მრიცხველის გვერდის ავლით ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარება“. უბედურება ის არის, რომ ამ სახის დარღვევებს არავინ არკვევს და რომელიღაც ინკასატორის ეჭვის ნიადაგზე, კომპანიის წარმომადგენლები განურჩევლად უთიშავენ გაზს სადარბაზოს მაცხოვრებლებს იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი რეალურად უკანონო მომხმარებლები. აქტიც კი არ დგება, სადაც მითითებული უნდა იყოს, დაზიანებულია თუ არა მრიცხველი, რა მდგომარეობაშია მრიცხველის ბრჯენები და ასე შემდეგ.**

– და თუ მაინც დადგინდა, რომ გაზის მრიცხველის შემოწმება აუცილებელია, ასეთ შემთხვევაში შემოწმების თანხები ვინ უნდა გადაიხადოს?

**– იმავე დადგენილებას ამაზეც აქვს პასუხი, მისი მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში ჩაწერილია: „მრიცხველის დამოწმება ხორციელდება „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის მიხედვით, ხოლო მრიცხველის სიზუსტის შემოწმებას ახორციელებს დაინტერესებული პირი. დაინტერესებული პირი ვალდებულია, აცნობოს დანარჩენ მხარეებს (შესაბამისად, მომხმარებელს, მიწოდების ანდა განაწილების ლიცენზიატებს) დაგეგმილი შემოწმების შესახებ, მრიცხველის შემოწმების საფასურს იხდის დაინტერესებული პირი.“**

– აგაშენათ ღმერთმა, საფასურის გადამხდელის ვინაობა ზუსტად არის მითითებული. მაგრამ, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი?

**– მე მგონი ამას ექსპერტი არ სჭირდება. დაინტერესებული პირი ამ შემთხვევაში არის გაზის მიმწოდებელი და არა მომხმარებელი. ამ აზრის მოწინააღმდეგეთა „გამამართლებლად“ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთი**



**გარემოება: „ყაზტრანსგაზს“ შემოტანილი აქვს დიდი ოდენობის გაზის მრიცხველები, რომელთა რეალიზაცია ძალიან უჭირს (!).**

– გასაგებია, მომხმარებელს არასწორად ავალდებულებენ მრიცხველის შემოწმების საფასურის გადახდას, თუმცა სტატიის ავტორი ამასაც არ სჯერდება და წერს, რომ გაზის უკანონო მოხმარების შემთხვევაში, კომპანია აბონენტს დაარიცხავს უკანონოდ მოხმარებული გაზის ღირებულებას. კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დარიცხვა ხორციელდება აბონენტის მიერ ყველა გაზმომხმარებელ ხელსაწყოზე, განურჩევლად იმისა, მუშაობს თუ არა ეს ხელსაწყო.

**– დადგენილების ეს პუნქტი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. სინამდვილეში მასში წერია, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურებით უკანონოდ სარგებლობის დაწყების თარიღისა და მოხმარებული გაზის მოცულობის დადგენა შეუძლებელია, ან მომხმარებელი განზრახ უშლის ხელს ლიცენზიანტის წარმომადგენლებს ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სიმძლავრეების დადგენას, განაწილების ლიცენზიანტს უფლება აქვს, მოხმარებული გაზის მოცულობა განსაზღვროს მომხმარებელთან შემავალი გაზსადენის გამტარუნარიანობისა და არსებული საშუალო თვიური წნევის მონაცემთა გათვალისწინებით, ერთი კალენდარული თვის პერიოდში ბუნებრივი გაზის უწყვეტად მოხმარების პირობებში“. აბა მითხარით, სად წერია ამ ქვეპუნქტში „განურჩევლად იმისა, მუშაობს თუ არა ეს ხელსაწყო“, ანდა რა კავშირშია ეს ქვეპუნქტი იმ მომხმარებლებთან, რომლებსაც კომპანიის წარმომადგენლებმა გაზის მრიცხველები 2008 წელს შეუფუთეს და დაულუქეს(?!).**

ამას არა სჯობდა, გვეთქვა, რომ არ სრულდება დადგენილების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი, სადაც აღნიშნულია: **„თუ სხვადასხვა გარემოებათა გამო საჭიროა მომხმარებელთან არსებული მრიცხველის მოხსნა, ის უნდა ჩაიდოს იზოლირებულ პაკეტში და დაილუქოს. საჭიროებისას, მრიცხველი წემოწმების აქტთან ერთად დაინტერესებული პირის მიერ გადაიგზავნება შესაბამის ლაბორატორიაში“.**

ბატონ ანზორ მესხიშვილთან შეხვედრისას სხვა მტკივნეულ საკითხებზეც გვქონდა საუბარი. ყოვლად უკანონო და მოუთმენელია ის გარემოება, რომ ენერგორესურსების მფლობელ კომპანიებს მომხმარებელთან დღემდე არ გაუფორმებიათ ხელშეკრულებები, რასაც ისინი დანაშაულებრივად იყენებენ მოსახლეობაზე უკანონო ზეწოლისა და საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად. ხელისუფლება კი, რომელსაც ენერგეტიკის სფეროში მოპოვებულ მიღწევებზე ტრაბახი უფრო ეხერხება, ვიდრე საკუთარი ხალხის უცხოელ ინვესტორთა ყვლეფისაგან და უზომოდ გაბერილი ტარიფებისგან დაცვა, გადახდისუუნარო და ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის ყოფას ხელის შეშველების ნაცვლად სულ უფრო ამძიმებს და გაუსაძლისს ხდის.

**ოთარ ხუციშვილი**

**ა ფასები ჩვენი მღელვარებისა**

# ნედლი ნავთობის საგრძნობლად გაიაფების მიუხედავად, რატომ ღირს საწვავი ასე ძვირი?

(მეშვიდე გვერდიდან)

ასევე ნურც იმას დავივიწყებთ, რომ აღნიშნულ 80 თეთრს ემატება იმპორტიორის საბითუმო მოგება და შემდგომ ავტოგასამართი სადგური თავად უმატებს საკუთარი მოგების პროცენტს. ყოველივე ამას თუკი დავაჯამებთ, ეს, საბოლოო ანგარიშით, ჯამურად 15-20 თეთრს შეადგენს. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეკონომიკის სხვა სექტორებში მოგების მარჟა გაცილებით მაღალია.

ამდენად, როგორც ბატონმა ვანო მთვრალაშვილმა აღნიშნა, **ბენზინის ფასი მთლიანად მომხმარებელზეა გათვლილი და იგი ნამდვილად არ არის ხელოვნურად გაბერილი.**

– შეიძლება კიდევ ერთი კითხვის დასმაც. **შესაძლებელი იყო თუ არა ბენზინის კიდევ უფრო მეტად გაიაფება?** – განაგრძობს იმპორტიორთა თავკაცი და ისევ თავადვე პასუხობს: – ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ, **ლარის დევალვაციამ და დოლარის გამყარებამ ეს პროცესი შეაფერხა.** როდესაც დოლარის კურსი იყო 1,40 ლარი და შემდგომ ნახტომისებურად 1.68 გახდა, ამან მნიშვნელოვნად – 15-20 თეთრით გაზარდა ბენზინის თვითღირებულებაც.

აქედან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ **სადღეისოდ ბენზინის ფასი სავსებით რეალურია.** როცა მომხმარებელი იგებს, რომ ნედლი ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე შემცირდა, ხოლო ბენზინის ფასმა შიდა ბაზარზე იმის პროპორციულად არ მოიკლო, იგი, ნებსით თუ უნებლიედ, ანგარიშს აღარ უწევს იმას, რომ ნავთობის ფასის ცვლილების მიუხედავად **სულაც არ იცვლება საგადასახადო განაკვეთები, რომლებიც ნავთობპროდუქტებზე საკმაოდ მაღალია, რომელიც ფასწარმოქმნის განხილვისას, ნედლი ნავთობის მთლიანი საბაზრო ღირებულების თითქმის 80 პროცენტს შეადგენს.**

ამის შემდგომ ჩვენი ლაპარაკი საქართველოში ევროპიდან იმპორტირებული ბენზინის საკითხს შეეხო, რომელსაც აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავისგან განსხვავებით, სხვა სპეციფიკა აქვს.

– თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა ოქტანური შემცველობის ბენზინის დადგენილი სტანდარტი, რომლის თანახმად, გაყიდვაშია ეგრეთ წოდებული „სუპერი“ (არანაკლებ 98 ოქტანური შემცველობითძ, „პრემიუმი“ (არანაკლებ 95-ისძ და „რეგულარი“ (არანაკლებ 91-საძ.

ევროპიდან ქვეყნის ტერიტორიაზე საწვავის შემოტანაზე თუ ვილაპარაკებთ, რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. **პირველი ის არის, რომ ბენზინის დიდი ოდენობა შემოაქვთ დიდი ტევადობის ტანკერებით; მეორეა ის, რომ ევროპიდან ტრანსპორტირება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე აზერბაიჯანიდან; მესამე მომენტი ის არის, რომ ფოთიდან თბილისამდე ხარჯიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხოლო მეოთხე და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპაში საწვავი აზერბაიჯანულზე გაცილებით ძვირია, რადგან ეს უკანასკნელი მას მეტად შეღავათიან ფასად გვაძლევს.** ამდენად, ქსელში ევროპული ბენზინი, მით უმეტეს, მაღალი ხარისხის, გაცილებით ძვირი ღირს. აქვე იმასაც ავღნიშნავ, რომ ამ მაღალოქტანურ ბენზინის სახეობებს (კერძოდ, „სუპერსა“ და „პრემიუმს“ძ ერთობ სპეციფიკური მომხმარებელი ჰყავს, რომელთა უმეტესი ნაწილი მაღალი კლასის ახალი ავტომანქანებით – სპორტულით, მძიმეწონიანი „ჯიპებით“ და ა.შ.ძ დადის, მაგრამ ისინი შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ და მომხმარებელთა მთლიანი ოდენობის მხოლოდ 1-2 პროცენტს შეადგენენ. მომხმარებლის ასეთი მცირერიცხოვნობა კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ მაღალი ხარისხის ბენზინი შედარებით ნელა იყიდება, თანაც საქონელი ევროპიდან, ვთქვათ, თვეში ერთხელ შემოაქვთ, ფასს კი ყოველდღე ადგენენ. რომ იტყვიან, ვცხოვრობთ ერთხელ, სამაგიეროდ ყოველდღე. ამიტომ ფასების აწევ-დაწევა, ვალუტის კურსის თამაში ძნელად გასათვლელს ხდის ბენზინზე შედარებით დაბალი ფასის დადგენას და, ამდენად, ბიზნესმენთათვის ყოველთვის ზედმეტ „თავის ტკივილს“ წარმოადგენს.



**ბოლოთქმის მაგიერ: საუბრის დასასრულს, რომელსაც ასევე ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის სხვა ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, საგანგებოდ აღინიშნა, რომ საწვავის ფასი, სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად პოლიტიკური სპეკულაციების საგანი ხდება, რაც სრულიად დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო დროს ქვეყანაში არც ერთი სახეობის პროდუქტი თუ მომსახურება არ გაიაფებულა ბენზინის გარდა. განა გაზში, ელექტროენერგიაში, სამგზავრო თუ სატვირთო გადაზიდვებში, სურსათში, სამრეწველო საქონელში თუნდაც ერთი თეთრით ნაკლებს ვიხდით ვიდრე, ვთქვათ, სამი-ოთხი თვის წინათ? ამიტომაც არის, რომ გარკვეულ პოზიტიურ ძვრებს შესაბამისი შეფასება სჭირდება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ძიუდო

# თბილისის ტურნირისთვის ემზადებიან



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუშინ საწვრთნელი შეკრება დაიწყო. ჩვენი ფალავნები თბილისის მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან. ისინი ტურნირზე ოთხ გუნდად იასპარეზებენ. სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: 60 კგ.** ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი, იოსებ ნიჟარაძე, ლევან ჩუბინიძე; **66 კგ.** ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, გიორგი ფერსაშვილი, შალვა ქარდავა. **73 კგ.** ზაზა კედელაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, დავით კუპრაშვილი, ამბაკო ავალიანი ან ლაშა გუმბერიძე; **81 კგ.** გიორგი შინჯიკაშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი, ლევან წიკლაური ან საბა გავაშელიშვილი, **90 კგ.** ვარლამ ლიპარტელიანი, გრიგოლ მამრიკიშვილი, მინდია ბოდაველი, რევაზ ჩიკოიძე ან ზვიად გოგოჭური. **100 კგ.** ლომერ ჟორჟოლიანი, დავით ლორიაშვილი, დიმიტრი ტურაშვილი, რევაზ მიქაბერიძე ან ვალერი იმერლიშვილი. **მძიმე წონა.** ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ალექსი დავითაშვილი.

მწვრთნელებმა ამჯერად დასვენების უფლება მისცეს ირაკლი ცირეკიძეს და დავით ქევხიშვილს. საგულისხმოა, რომ 2012 წლის ოლიმპიადის საგზურებისთვის სპორტსმენებს სალიცენზიო ქულები თბილისის ტურნირიდანვე დაერიცხებათ.

ფიგურული ციგურაობა

# ევროპას ქართველებიც შეუტევენ



**ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი 19-25 იანვარს ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოდან ელენე გედევანიშვილი და ბექა შანყულაშვილი იასპარეზებენ.**

ქალებში საპრიზო ადგილებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 41 წარმომადგენელი იბრძოლებს. ფავორიტი, ცხადია, იტალიელი კაროლინა კოსტნერი იქნება, რადგან შვეიცარიელი სარა მაიერი ჩემპიონატს გამოტოვებს. იტალიელს კონკურენციას ფინელები სუზანა პოიკიო, კიირა კორპი და ლაურა ლეპისტო გაუწევენ. იმედია, მედლებისთვის მოპაექრეთა შორის ელენე გედევანიშვილსაც ვიხილავთ.

ვაჟებში 39 სპორტსმენი დაუპირისპირდება ერთმანეთს. ბექა შანყულაშვილს სადებიუტოდ ამერიკაში ამზადებს ცნობილი ქართველი მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე, რომელმაც 2003 წელს კონტინენტის პირველობაზე მე-7 ადგილი დაიკავა. ბექას მეტოქეობას გაუწევს ბულგარეთის სახელით მოასპარეზე 22 წლის გიორგი კენჭაძე. რუსეთის ფედერაციის სპორტულ ღირსებას დაიცავს 20 წლის ნოდარ მაისურაძე, რომელიც წყვილებში ლიუბოვ ილიუშეჩკინასთან ერთად ისრიალებს.

ინტერნეტიდან



## ელიან ბექჰემის იტალიურ დებიუტს

**დიახ, ფეხბურთის გულშემატკივრები, არა მარტო იტალიაში, სულმოუთქმელად მოელიან „მილანში“ დევიდ ბექჰემის დებიუტს, რომელიც 11 იანვარს „რომასთან“ შეხვედრაში ითამაშებს.**

როგორც უკვე ვწერდით, მართალია, „მილანმა“ სახელგანთქმული ინგლისელი მხოლოდ რაღაც ნახევარი წლით „იქირავა“, მაგრამ, ფაქტობრივად ის უკვე მარტში დაბრუნდება ამერიკაში, ლოს-ანჟელესში.

ბექჰემის განცხადებით, ის მზადაა „მილანის“ შემადგენლობაში თამაშისათვის და ეცდება, რომ გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრუოს.

ფეხბურთელმა ჟურნალისტთა მრავალ კითხვას უპასუხა, მათ შორის თავის ოჯახზეც. თქვა, რომ ბავშვები და ცოლიც ლოს-ანჟელესში დატოვა ბავშვების სწავლის გამო.

პრესკონფერენციაზე, რომელიც დუბაიში გაიმართა, იმანაც გამოჟონა, რომ მილიონერი ფეხბურთელი დუბაიში, ერთ-ერთ უმაღლეს შენობაში ბინის შეძენას აპირებს.

## კუნძულეთს მიაშურეს

**ამ საახალწლო-საშობაო დღეებს დიდი სიამტკბილობით ატარებენ მალდივის კუნძულებზე ლამაზმანი მსახიობი ჯენიფერ ელისონი და მოკრივე რობი ტიკლი.**

თუმცა ნუ გაგიკვირდებათ მისი ახალი თაყვანისმცემელი, რადგან ასეთთა სიაში რამდენიმე ცნობილი ადამიანია. ერთ-ერთი მათგანი კი იყო „ლივერპულის“ ახლანდელი კაპიტანი სტივენ ჯერარდი. თუმცა ისინი რაღაცაზე ვერ მორიგდნენ.

სულ ახლახან კი ლამაზმანი მოკრივე რობი ტიკლს „გადაეყარა“ და მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. გასულ შემოდგომაზე ისინი ოკეანის სანაპიროზე ისვენებდნენ თავიანთი ნიშნობის აღსანიშნავად, მათთან ერთად სხვებიც უკვე იმედოვნებენ, რომ მალე ქორწილიც შედგება. ახლა კი მალდივებზე ისვენებენ, თანაც ჯენიფერმა უკვე მოასწრო მორიგი ჟურნალისთვის გაშიშვლება და თავისი გადასარევი ფოტოსურათით უამრავი მამაკაცის მოხიბვლა.



რეგიონი

# ქუთაისელთა რჩეულნი

**წლის შედეგების მიხედვით ქუთაისმაც დაასახელა 2008 წლის რჩეული სპორტსმენები. საუკეთესოთა ათეულს სათავეში უდგას**



**ოლიმპიური ჩემპიონი, ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძე, რომელმაც გუნდური მსოფლიო ჩემპიონატიც მოიგო.** შემდეგ მოდიან ნანა ძაგნიძე (ჭადრაკი), მერი არაბიძე (ჭადრაკი), ლაშა გოგიტაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა), ბექა ბაზაძე (ფარიკაობა), გენადი ჩირგაძე (სამბო), თორნიკე ლურსმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), თეონა გიორგაძე (კარატე), კობა ფხაკაძე (კრივი).

**მწვრთნელთა საუკეთესო სამეული ასეთია:** მერაბ მერაბიშვილი (ძიუდო), გია მენაბდე (ჭადრაკი) და ალექსანდრე არსენიძე (ჭადრაკი).

ელდარ მალხაზიშვილის ხსოვნას

# მასაც გულმა ვერ გაუძლო

**ცრემლნარევი ხმით რამდენჯერ მოუყოლია — კიბეზე დასასვენებლად ჩამომჯდარი საყვარელი დედა უეცრად გულის შეტევით გარდამეცვალაო. რას ვიფიქრებდით, რომ ისიც ინფარქტით გამოგვეცლებოდა ხელიდან.**

**ელდარ მალხაზიშვილი შედარებით მოგვიანებით შეუერთდა ფოტორეპორტიორთა ამქარს. განთქმული ქორეოგრაფიული ანსამბლის ღირსეულ წევრს მთელი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი, თუმცა, თანამედროვე საქართველოში გამეფებულმა სიდუხჭირემ პროფესია შეაცვლევინა და სპორტულ სამყაროს ჩაახუტა.**

**ალალი, სპეტაკი, პატიოსანი, უღალატო... ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი და კიდევ სხვა უამრავი ეპითეტი ზედგამოჭრილი იყო ჩვენი უფროსი კოლეგისა და მეგობრისთვის. ამიტომაც უხაროდა ყველას მასთან შეხვედრა.**

**ბავშვივით მიამიტი პიროვნება სამაგალითო მეოჯახეც გახლდათ. განსაკუთრებით შვილიშვილთა სიმრავლით ამაყობდა. გვპირდებოდა კიდეც — წლეულს,**



**70 წლის იუბილეზე რომ შევიკრიბებით, ჩემს სიძეებთან უნდა შეგაჯიბროთ დროსტარებაშიო.**

**როგორც ბევრი ოცნება, ესეც განუხორციელებელი დარჩა.**

**აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა.**

„საქართველოს რესპუბლიკის“
სპორტის რედაქცია

## სს „აგროინვესტბანკის“ განცხადება

**სს „აგროინვესტბანკი“ აცხადებს განმეორებით საჯარო აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №150, არასაცხოვრებელი ფართი 964,38 კვ.მ. და 210 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მიმდებარედ.** მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/13/08/01/014, ზონა 01, სექტორი დიდუბე 13, ნაკვეთი 01/014, კოდი 01/502, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, დაუზუსტებელი ფართობი 14844,00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 14. გასაყიდი ობიექტის მომავალ მფლობელს პერსპექტივაში აქვს მოახდინოს დაუზუსტებელი ფართიდან ინდივიდუალური გამიჯვნა და მის საკუთრებაში გადავიდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. საწყისი ფასი 2.000.000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი, 3.300.000 (სამი მილიონ სამასი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ქონების 10 პროცენტს — 200000 (ორასი ათასი) აშშ დოლარს, 330 000 (სამას ოცდაათი ათასი) ლარს. ბიჯი — 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარი, 6600 (ექვსი ათას ექვსასი) ლარი.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 20 იანვარს, 15 საათზე სს „აგროინვესტბანკში“ ბანკის ადმინისტრაციულ მისამართზე, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №79.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა აუქციონის კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

ბ) ბეს — შეტანის დამადასტურებელი ქვითარი, ბე — გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „აგროინვესტბანკი“, (საქართველოს ეროვნული ბანკი) კოდი 220101703, ანგარ. №700161403 ლარში, ანგარ. №700070303 დოლარში, საიდენტიფიკაციო კოდი 201947572, შიდა საბანკო ანგარიში №164501 ლარში, შიდა საბანკო ანგარიში №104511 აშშ დოლარში.

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მოქმედებს წარმომადგენლის სახელით.

დ) იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები უნდა წარმოდგენილი იქნას არა უგვიანეს 2009 წ. 20 იანვრის 13:30 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

**დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „აგროინვესტბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე. ტელ: 96-99-68; 96-94-81.**

სააუქციონო კომისია

◉ პერიოდიკა

# ანგელოზები და დემონები

## „ჩვენი მწერლობა“ – № 25–26

**დღევანდელი საქართველოს კულტურული ცხოვრების რიტმში თავისი გამორჩეული ხმა აქვს „ჩვენს მწერლობას“ (რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე).**

**რას გვთავაზობს ჟურნალის 25-ე ნომერი?**

როგორები არიან ისინი, დიდი მწერლები, ცხოვრებაში? ოთარ ჩხეიძეც გარდაცვალების შემდეგ უფრო მოისაკლისა ერმა, ხოლო იმ ადამიანებს, რომელთაც ხვდათ პატივი მასთან შეხვედრებისა, გულისტკივილი გაუმძაფრა, რატომ მეტად არ მივეფერე, რატომ გავფლანგე მასთან სიახლოვის წუთებიო. ამ პათოსითაა გაჟღენთილი ნიკოლოზ ჩუბინიძის მოგონება „განრისხებული ოთარ ჩხეიძე“.

ამავე ნომერში იბეჭდება ფრაგმენტები შიო არაგვისპირელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანიდან „მზე და მწუხრი“. ავტორი წარმოაჩენს ქართველ, პოლონელ თუ ირლანდიელ ქალ–პერსონაჟთა პატრიოტული სულისკვეთების არსს და „ჩემი სამშობლო ჩემი გულიას“ ფსიქოლოგიურ სიღრმეებს გამოავლენს.

ჟურნალის ამ ნომერშიც წარმოდგენილი არიან ახალი და წინა თაობის მწერლები. რა თქმა უნდა, შვილი უნდა სჯობდეს მამას, მაგრამ ამჯერად აშკარად პირიქითაა. ეთერ თათარაიძისა და ტარიელ ხარხელაურის ლექსები ნამდვილი პოეზიაა.

გელა ჩქვანავას მოთხრობას – „სანამ ნისლი გაიფანტება“ უთუოდ ინტერესით წაიკითხავს მკითხველი. თემატიკა აქტუალურია.

შარლ ბოდლერის, ფრანგული სიმბოლიზმის მეტრის პირადი წერილები ნამდვილად შესანიშნავი საჩუქარია (ფრანგულიდან თარგმნა თინა ღარიბაშვილმა).

მკითხველი გვერდს ვერ აუვლის ახალგაზრდა მწერლის ზვიად კვარაცხელიას დოკუმენტურ პროზას „ილია სამეგრელოში“, რომელიც ჟურნალის 26-ე ნომერში სრულდება.

გურამ ოდიშარიას ახალი რომანი „პრეზიდენტის კატა“ უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე ქართული პროზისთვის. ამავე დროს, იგი შეიძლება ერთგვარ ხიდადაც იქცეს ქართველსა და აფხაზ ხალხს შორის, „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ ამ რომანის რეპორტაჟს გადმოგვცემს ეკა ბუჯიაშვილი წერილში „აფხაზეთისკენ სავალი გზები“.

ამავე ნომერში წაიკითხავთ: ნინო ჩხიკვიშვილის „ლექსად ქცეულ ქადაგებას“ (მეუფე თადეოზის ლექსებზე), ნინო ქაჯაიას საუბარი ზაალ სამადაშვილთან, „ოცნების აღსრულებას“, იოსებ ჭუმბურიძის „მეორე შთაბეჭდილებას“, კატო ჯავახიშვილისა და უჩა ზაქაშვილის ლექსებს, თეკლა ჯანელიძის „ლექცია სამყაროს წარმოშობაზე“, თეიმურაზ ნადარეიშვილის „სულის ფოტოგრაფიებს“, გრიგოლ სენეკურისა და ზაზა ტატიშვილის პუბლიკაციებს.







**რას გვთავაზობს ჟურნალის 26-ე ნომერი?**

რედაქტორი აგრძელებს სიმწვავით გამორჩეული სტატიების ციკლს „ნუ მივატოვებთ ფილმს უთვისტომოდ“.

ჟურნალში დროდადრო იბეჭდება ხოლმე აღიარებულ მუსიკოსთან ნოდარ ანდღულაძესთან საუბარი. ამჯერადაც მკითხველი „მოუსმენს“ ბატონ ნოდარს, რომელიც ჩვეული სიდინჯითა და სიღრმით დიდი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას შესახებ ჰყვება (თამარ ლონლაძის ჩანაწერი).

ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში უთუოდ აღსანიშნავია „ასი უძველესი იაპონური ლექსის“ თარგმანების გამოჩენა. ავტორი ირმა რატიანია, ჩინებული ლიტერატურათმცოდნე, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

ცოტამ თუ იცის, რომ 1924 წლის ცნობილ აჯანყებამდე, 1922 წელს დიდი ეროვნული ამბოხი მოხდა ხევსურეთში. ამ ხარვეზს ავსებს ივანე ლიქოკელის მონოგრაფია „ხევსურები და ქაქუცა“. როსტომ ჩხეიძე სარეცენზიო წერილში წარმოაჩენს წიგნში თავმოყრილი მასალის ულიდეს მნიშვნელობას ჩვენი უახლესი ისტორიის თვალნათლივ წარმოსადგენად.

ამავე ნომერში მკითხველი დალილა ბედიანიძის ლექსების ციკლით, შოთა ბოსტანაშვილის მამისადმი მიძღვნილი ლექსითა და დიტო გოლუბიანის მოთხრობით „თვალები“ შეიგრძნობს თანამედროვე მწერლობის ერთი ნაკადის გულისფეთქვას.

ყურადღებას იქცევს ცნობილი მწერლის ტომას ვულფის „წერილი დედას“ (თარგმნა ლაშა გიორგაძემ).

გივი ალხაზიშვილი ის პოეტია, რომელიც მიმდინარე მოვლენებს ლექსებსა და პუბლიცისტიკაში მხატვრულად განაზოგადებს და აღბეჭდავს. ამჯერად მის დღიურებს გაეცნობა მკითხველი (XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ჩანაწერებს).

ჟურნალში სხვაც ბევრი რამ არის საინტერესო და საგულისხმო, მათ შორის, უპირველესად, ნუგზარივით ჩასატკბარუნებელი, გონებამახვილობით გამორჩეული უღალატო „მოზაიკა“.

**მაია ჯალიაშვილი**


# განცხადება

**სააქციო საზოგადოება „კომ-ეკოს“ საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**სს „კომ-ეკოს“ საერთო კრება გაიმართება 2009 წლის 30 იანვარს თბილისში, გერგეთის გასასვლელი №6-ში (მთაწმინდის რაიონი).**

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გადარჩევა (იხ. სააქციო საზოგადოება მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭოსი);
2. სს „კომ-ეკოს“ გენ-დირექტორის არჩევა;
3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „კომ-ეკოს“ დირექტორატში (მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის გასასვლელი №5. ტელ. 99-71-24.

განმარტების მისაღებად – მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დაყენებული დირექტორატში კრებამდე 10 დღის ადრე.

**ადმინისტრაცია**



**2009 წლის 8 თებერვალს წყალტუბოს რაიონი სოფ. ცხუნკურში იმართება შპს „ცხუნკური-97“-ის ქონების მორიგი აუქციონი.**

**მისამართი: წყალტუბოს რაიონი, სოფ. ცხუნკური.**

**ტელ: 893 54-70-72.**



# რეკლამა

***„საქართველოს რესპუბლიკაში“***

**98-65-87; 899 32-85-76.**


◉ სანთელი

# ვლადიმერ ხიშბას

**ძმაო ვოვა, გამორჩეულო აფხაზო, ქართველთა მოსიყვარულე მამულიშვილო. შენნაირი შვილები რომ ბევრი ჰყოლოდა ჩვენს ქვეყანას, არც ქართველი წააგებდა და არც აფხაზი, შენ იცოდი ფასი ერთიანი საქართველოსი. შენთვის, როგორც ჩემთვის, ერთი იყო აფხაზი და ქართველი. რა დამავიწყებს, როცა 1981 წელს აფხაზებმა სოხუმში 50 წლის იუბილე გადამიხადეს და როცა ბაგრატ შინკუბამ „ბრძენთა ჯოხი“ – „ალაბაში“ მაჩუქა, პირველმა შენ მომილოცე და მითხარი – „ჯანსუღ, ამ „ალაბაშით“ განვდევნით ჩვენს მტრებსო“. ეჰ, მტრებისა რა მოგახსენო და, შენმა წასვლამ კი გული დამწყვიტა.**

**გჯეროდეს, იქ, მარადიულში, გაგყვება ჩვენი სამეგობროს დიდი სიყვარული.**

**1996 წელს შენდამი მოძღვნილ ლექსს გავიხსენებ:**

## წერილი ვოვა ხიშბას – აფხაზ მეგობარს

**ვარადო, ვარი-ვარადო,**
**გშვენოდა ყანწით სმაო,**
**დაგეძებ კარი-კარადო,**
**ვერსად ვერ გპოვე, ძმაო.**

**მეგრელს ვკითხე და**
**სვანს ვკითხე,**
**ვკითხე სოხუმელს, გაგრელს,**
**კაცი ვით უნდა დაგვიფრთხეს,**
**ასე უკვალოდ გაქრეს.**

**ვარადო, ვარი-ვარადო,**
**საგურამოში ვილხენთ,**
**მერე ვეწვიეთ სამადლოს,**
**შენ რომ გიყვარდა, იმ ხეს.**

**სუფრაც იმ ხესთან გავშალეთ,**
**სადღეგრძელოც ვთქვით**
**იმ ხის,**
**მინდორს შვენოდა ხაშარი,**
**ხეს შერჩენოდა ჭირხლი.**

**ფეხზე მოუხმე აფხაზურს,**
**დედა დალოცე ქართვლის,**
**ვუმზერდი ზეცას გახაზულს**
**თვალშეუდგამი ნათლით.**

**ვარადო, ვარი-ვარადო,**
**რა შნო გქონდა და რა ფხა?**
**დაგეძებ კარი-კარადო,**
**ქართველი გეძებ აფხაზს.**

**მზე გულისგულში ჩამცხრალი**
**შორიდან მიმზერს რისხვით,**
**გამოჩნდი, შენ გენაცვალე,**
**შენ გტკივა ჩემი სისხლი!**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

გიორგი გიგაური, შოთა ჭალაგანიძე, ჯიმშერ ჩარკვიანი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ და იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი ადამიანი, ბრწყინვალე წარმომადგენელი აფხაზი ხალხისა, ქართველების დიდი მეგობარი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე

ვლადიმერ (ვოვა) ხიშბა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნატალია აბულაძე, ტატა, დავით ხვედელიანები გულწრფელად თანაუგრძნობენ თამრიკო და ნუგზარ ხვედელიანებს დედის, ღირსეული ქალბატონის

იზოლდა ხვედელიანის

გარდაცვალების გამო.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ცნობილი ქართველი ქიმიკოსი, მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი

სერგო ადამია

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

◉ ახალი ინიციატივა

# სახელმწიფო დაცვას შეამცირებენ

**გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგიერთ მოქმედ და ყოფილ თანამდებობის პირს სახელმწიფო დაცვა მოეხსნება ან დაცვის წევრთა რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდება. კონკრეტული გვარები არ სახელდება, მაგრამ ეს ცვლილება შეეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრებს, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და, ასევე, ქალაქის მოქმედ მერს.**

როდის დაიწყებს მოქმედებას ახლად მიღებული გადაწყვეტილება, უცნობია, მაგრამ შეფასებები საზოგადოებისა და მათი მხრიდან, ვისაც ეს სიახლე სავარაუდოდ უნდა შეეხოს, უკვე მოხდა.

ინიციატივის მესვეურები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოში მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ცდილობენ თანხების ოპტიმიზაციას, რადგან თითოეული ჩინოვნიკის დაცვა ქვეყანას სოლიდური თანხა უჯდება. ამის გარდა, დაცვის წევრთა რაოდენობის შემცირება მათ საფრთხეს არ შეუქმნის, რადგან უკვე გადამდგარი და გადაყენებული პირები სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ფიგურები აღარ არიან და არ არის საჭირო, მათ კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები და მანქანების მთელი კოლონა დასდევდეს უკან.

მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილია ახალი ინიციატივით და მას პოლიტიკურ პროცესებს არ უკავშირებს. მათი აზრით, დღეს, როდესაც სახელმწიფოს ძალიან უჭირს, მსგავს საკითხებზე ფულის ხარჯვა მიზანშეუწონელია.

ძველი და ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიები კი ყველაფერს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას მიაწერენ და არ გამორიცხავენ, რომ მსგავსი ქმედებები მომავალშიც გაგრძელდება: – როდესაც ქვეყანაში უამრავი თანხა იხარჯება არამიზნობრივად, მხოლოდ სახელმწიფო დაცვასთან დაკავშირებული ფინანსები რატომ გახდა პრობლემა? – კითხულობენ ისინი.

გამოცდილებამ და წარსულში მომხდარმა ფაქტებმა ცხადყო, რომ ზოგჯერ დაცვის წევრთა მთელი ამალაც კი ვერ გიხსნის კარს მომდგარი საფრთხისაგან. გავიხსენოთ ზურაბ ჟვანიასა და ბადრი პატარკაციშვილის საეჭვო სიკვდილი.

კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და ალბათ ნათქვამს სისრულეში მოიყვანენ. ჩნდება მხოლოდ კითხვები – სად წავა სახელმწიფო დაცვის შემცირების შედეგად დაზოგილი თანხა? დაცვის ძველი კადრები უფრო ზედა ეშელონებში ხომ არ გადაინაცვლებენ? მხოლოდ გარკვეული ნიშნით შერჩეული პირები დარჩებიან „უსაფრთხოების გარანტიის“ გარეშე თუ მომავალში გადამდგარ და გადაყენებულ ხელისუფლების წევრებსაც შეეხებათ ეს ცვლილება? რა იქნება კრიზისის შემდეგ?

ამ და სხვა კითხვებზე კონკრეტული პირები თუ არა, დრო ხომ მაინც გაგვცემს პასუხს.

**ანა წიწილაშვილი**

## მკითხველის რეპლიკა

# სადღაა მგზავრების კეთილმომსახურება!

**ეტყობა, იმ დაპირებებმა ჩაილურის წყალი დალია, საქართველოს რკინიგზის მესვეურები სამგზავრო მატარებლებს რეკლამასავით რომ უკეთებდნენ: ზამთარ-ზაფხულ კონდიცირებულია ვაგონებიო, იდეალური სისუფთავეო, ტელევიზორია ჩართული და, ისე ჩახვალთ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, ვერც გაიგებთო...**



სად არის, ბატონებო, ტელევიზორი?! არა, ყუთი კი დგას, მაგრამ დადუმებულია!... კარგა ხანია აღარ უმუშავიაო, გამოგვიცხადა გამცილებელმა. აი, ამას ჰქვია კეთილმომსახურება!.. თუმცა, დღევანდელი საქართველოს მდგომარეობიდან გამომდინარე, რაღა უნდა გაგვიკვირდეს კაცს?!

**ბონდო ჩვამანია**

## დაიჯესტი

# ჯვრისწერა... ხის კენწეროზე

ამერიკელი პატარა ბიჭუნების გასართობი, მაღალ ხეებზე აძრომა, როგორც ჩანს, მოზრდილთათვის ორგანიზებული დასვენების ერთ-ერთი პოპულარული სახეობა ხდება. ხისმცოცველთა საერთაშორისო ასოციაციაში უკვე გაერთიანდნენ როგორც მთაში სიარულზე ხელის ამღები ალპინისტები, ასევე „უბრალო მოკვდავნი“, რომლებიც დიდი ქალაქების ხმაურისა და ცხოვრების უსწრაფესი ტემპისგან გადაიღალნენ. საკუთარ ილუსტრირებულ გამოცემაში ისინი მკითხველებს უამბობენ თავიანთი თავგადასავლების შესახებ. მაგალითად, ქორწილზე ხის კენწეროზე, 18 მეტრის სიმაღლეზე ფუტკრის ნაყართან დრამატულ შეხვედრაზე, ციყვების თავდასხმებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, ამ უჩვეულო სპორტის აქტიური მოწინააღმდეგენი არიან.

ყოველ ზაფხულში ისინი ერთმანეთს ხვდებიან კალიფორნიის ჩრდილოეთში, სადაც უზარმაზარი სეკვოიები იზრდება და ას მეტრზე მეტ სიმაღლეზე სისწრაფეზე აძრომაში და იქ „შტაბების“ მოწყობაში ეჯიბრებიან, ანდა, ძალიან ძლიერი ქარის დროს განსაკუთრებულად დრეკად ხეებზე ძვრებიან და ჰაერის ნაკადებში ნავარდობენ.

# ტკბილი ნიორი

კოლუმბიის სამხრეთით ქალაქ არიკის მოყვარულმა მებოსტნეებმა, მრავალწლიანი ცდების შედეგად, შექმნეს ჰიბრიდული... ტკბილი ნივრის გამოყვანა.

ახალი ჯიშის ნივრის ბაცი იასამნისფერი თავები მოზრდილი მამაკაცის მუშტის ზომისხელაა და ნაზი მოტკბო გემო აქვთ, თუმცა კულინარიული დამუშავების შემდეგ მათ ჩვეული სიმძაფრე უბრუნდებათ. სელექციონერთა აზრით, ტკბილი ნივრის გამოყენებას დიდი პერსპექტივა აქვს ესპანური და ლათინური ამერიკის ქვეყნების ტრადიციულ კერძებში.

## არასერიოზულად – სერიოზულზე

# დავუბრუნოთ სახელები ჩვენს დიდ წინაპრებს

**– მოგესალმებით თამუნა... ვიწყებთ რეპორტაჟს...**

**– პატივცემულო ტელემაყურებლებო, მე გახლავართ ვაკო... თქვენთვის საინტერესო საკითხებზე ვესაუბრები...**

**– სიტყვას გადავცემ ჩემს კოლეგას ქეთის... ის გაუძღვება რეპორტაჟს...**

**– მიკროფონთანაა გიგი... გიგა... დიტო... ვაკო...**

ციტატები ზუსტია და, როგორც ადრე იტყოდნენ ხოლმე – „ასლი დედანთან სწორია“. ამ სიტყვებს და წინადადებებს ყოველდღე ვისმენთ ტელეარხებითა და რადიოთი. ერთადერთი, რასაც არ ვიმეორებთ ამ შემთხვევაში, ეს გვარებია დასახელებულ სახელებთან ერთად. ალბათ, არც არის საჭირო. ყველამ შესანიშნავად ვიცით ისედაც დღეს ვინაა თამუნა, ქეთი (თუ ქეთაძ, თათა, ვაკო, გიგი (თუ გიგა, გოკა, გოგა...ძ. მათ ყოველდღე ვხვდებით, ყოველდღე ვხედავთ ან ვისმენთ მათ ხმას, ასე სასიამოვნო ჟღერადობით (ჟღერადობა ხომ ასეთი პოპულარული, შეუცვლელი და ყოვლისმომცველი სიტყვა გახდა დღეს ქართულ მეტყველებაშიძ და თავმდაბლობით რომ წარმოგვიდგენენ თავიანთ თავს (სხვებიც რომ ასე მიმართავენ მათ, ეს სხვააძ.

მიხარია ხოლმე, რომ ამ მხრივაც არ ჩამოვრჩით დროს, კვალში ვუდგავართ დიდ ამერიკას, სხვა ცივილიზებულ ქვეყნებს და შინაურულად, სასიამოვნოდ, ტკბილად მივმართავთ სხვებსაც და ვახსენებთ საკუთარ სახელებსაც მოკლედ, სხარტად, ტკბილხმოვანებით. აბა, როგორ წარმოგიდგენია, ბიძია, გლობალიზაციაა!

ჰოდა, გამიჩნდა სავსებით ლოგიკური, სამართლიანი, ობიექტური აზრი, რასაც, ვფიქრობ, თქვენც დაეთანხმებით.

ეს აზრი კი ისაა, რომ დავუბრუნოთ ჩვენს დიდ წინაპრებს თავიანთი საყვარელი, ნამდვილი სახელები.

აბა, მითხარით, რითია ცუდი და არ ჟღერს თანადროულად?!

თამუნა მეფე, დათო აღმაშენებელი, გიგი ბრწყინვალე, ქეთა დედოფალი (წამებულიძ, გოკა სააკაძე, ვატო გორგასალი, ანუკი დედოფალი, აჩიკო მეფე (პოეტიძ, თემო პირველი (პოეტიძ, ალიკო ყაზბეგი...

განა მათ შინაურები ყველას დავითს ან გიორგის, ან ქეთევანს ეძახოდნენ?!

ერთხელ ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, ავტორი თუ წამყვანი თავის თავს მაინც არ უნდა უწოდებდეს საჯარო გამოსვლის დროს თიკუნსო, და დავტუქსე: როგორ არა გრცხვენია, ჩამორჩენილი ხარ-მეთქი. განა თამარი შეედრება თამუნას ან გოკა გიორგის-მეთქი. თანაც, შეხედე, როგორ გლობალურად გამოიყურება, საერთაშორისო (იგულისხმება, ამერიკულიძ ტონალობით-მეთქი.

არ ვიცი, დავარწმუნე თუ არა ჩემი მეგობარი ჩემი შეხედულებების სისწორეში. ის ყოველთვის კონსერვატიული შეხედულებებით გამოირჩეოდა.

**ზურაბ ლომიძე**

# ჩემი რჩევა

**„ქართველებს დასცინიან, ღვინის სმა რომ იციან“... იანვრის პირველ ნახევარში განსაკუთრებით ვიცით ეგ სმა: ეს ახლით ახალი წელიო, ეს შობაო, ეს ძველით ახალი წელიო (თითქოს უმოტივოდაც გვაკლდეს სმა და თრობა...ძ.**

ჰოდა განსაკუთრებულ სმას განსაკუთრებული „პახმელიაც“ მოსდევს (რუსულად похмельеძ და ტელეეკრანიდან გახშირდა რეკომენდაციები ამ უსიამოვნო შეგრძნების დასაძლევად: აი ცხელი ჩაიო, აი კარაქიან-ხიზილალიანი პურიო (ხიზილალა ხომ ასე მისაწვდომფასიანია!..ძ, აი სუფთა ჰაერზე გასეირნებაო, მინერალური წყლები – „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „ლიკანი“ ხომ თავისთავად...

არადა, ერთი უბრალო რჩევა არცვის მოსდის თავში – ზომიერად დავლიოთ, ბოდიში და – ნუ გავსკდებით და „საპახმელიოდაც“ აღარ გაგვიხდება საქმე (ერთი „ცნობადი“ სახე იკვეხნიდა „დილა მშვიდობისა, საქართველოში“ – მე და ჩემმა მეჯვარემ 15 ლიტრი (!ძ ღვინო დავლიეთ კარაქის მიტანებით და არც დავმთვრალვართო!..ძ.

ვსარგებლობ შემთხვევით და ერთ ენობრივ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას: **ნაბახუსევი** ვიხმაროთ ნაღვინევის (ნასვამისძ ეკვივალენტად, ხოლო „პახმელია“ გამოვთქვათ ნაბახურევით (პირველ სიტყვაში „სანი“, მეორეში „რაე“ძ. „ნაბახურევის“ არსებობა სულ დავივიწყეთ. რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულში თუ ჩავიხედავთ, похмелье თარგმნილია, როგორც სწორედ ნაბახურევი და მაგალითიცაა მოყვანილი: „ნაბახურევზე თავი ასტკივდა“. აი, შოთა სამუშიას ახალ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ კი ნაბახურევი რატომღაც იგნორირებულია...

**თამაზ ებანოიძე**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ხალხური დაკვირვება: სადარბაზოში გადამწვარი ნათურა გამოცვალეს – ე. ი. მალე არჩევნებია!

* * *

ნუდისტურ პლაჟზე ტანსაცმლიანი კაცი წევს.

– თქვენ ნუდისტი ხართ? – ეკითხებიან მას.

– დიახ.

– თუ ასეა, ტანსაცმლით რად წევხართ?

– გარყვნილი ვარ.

* * *

– მიხო, გამაცილებ? – ეკითხება მარო.

– კი, მზერით.

* * *

– რა შეიძლება იპოვოთ სუფთა ცხვირში?

– თითების ანაბეჭდი.



* * *

ცოლი უკვე არ გეჩვენებათ ისეთი ლამაზი, როგორიც წლების წინათ იყო? დაესწარი შტანგოსან ქალთა შეჯიბრებას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.